

თენგიზ მალრაძე

ელექტროენერგეტიკული სისტემების ფუნქციონირების
ოპტიმალური რეჟიმების მათემატიკური მოდელირება და
ენერგოობიექტებზე რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა

წარდგენილია დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, 0175, საქართველო
ივლისი, 2013

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით თენგიზ
მაღრაძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით:
„ელექტროენერგეტიკული სისტემების ფუნქციონირების ოპტიმალური
რეჟიმების მათემატიკური მოდელირება და ენერგობიექტებზე
რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა“ და ვაძლევთ რეკომენდაციას
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და
ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: სრ. პროფესორი დავით ჯაფარიძე

რეცენზენტი: სრ. პროფესორი დემი ლაოშვილი

რეცენზენტი: სრ. პროფესორი თამაზ ობგაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2013

ავტორი:	თენგიზ მაღრაძე	
დასახელება:	„ელექტროენერგეტიკული	სისტემების
ფუნქციონირების ოპტიმალური რეჟიმების მათემატიკური მოდელირება და ენერგოობიექტებზე რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა“		
ფაკულტეტი :	ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის	
აკადემიური ხარისხი:	დოქტორი	
სხდომა ჩატარდა:	2013 წლის 26 ივლისს	

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

რეზიუმე

სადისერტაციო ნაშრომში: “ელექტროენერგეტიკული სისტემების ფუნქციონირების ოპტიმალური რეჟიმების მათემატიკური მოდელირება და ენერგობიუქტებზე რემონტების ოპტიმალური დაგეგვა” დასმული პრობლემის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე დამუშავების მიზნით შესწავლითი ელექტროენერგიის მოკლევადიანი მოხმარების პროგნოზირების, აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური დაგეგმვის, პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის და მთლიანობაში ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციის და დაგეგმვის მსოფლიო გამოცდილება. მის საფუძველზე დასმულია ბიზნეს-ინჟინერინგის პრინციპებით, ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის პროცესების მართვის ოპტიმიზაციის თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოყენებით სისტემის ფუნქციონირების რეჟიმების ოპტიმალური დაგეგმვის მეთოდიკის და ალგორითმის შემუშავების ამოცანა.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, ნახაზებისა და ცხრილების ნუსხის, ოთხი ძირითადი თავის (შესაბამისი ქვეთავებით), დასკვნებისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

დასახული ამოცანის შესაბამისად კვლევის საწყის ეტაპზე ნეირონული ქსელების გამოყენებით შემუშავებულია ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი (საათი, დღე-დამე) პროგნოზირების მრავალფაქტორიანი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი და შესაბამისი ალგორითმი. მიღებული შედეგების აპრობაციის მიზნით, შეთავაზებული მეთოდიკით ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგალითზე ჩატარებულია ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირება.

მეორე ეტაპზე გადაწყვეტილია ელექტროენერგეტიკულ სისტემაში აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური სიდიდის დაგეგმვის და მაგენერირებელ ობიექტებზე მისი განაწილების პრობლემა. ამ მიმართულებით შეირჩა ოპტიმალურობის მრავალფაქტორიანი კრიტერიუმი. ვინაიდან ოპერატიული რეზერვირება ატარებს განუსაზღვრელობის ხასიათს, დასმული ამოცანა გადაწყდა არამაფიო ლოგოკის მეთოდის გამოყენებით. ექსპერიმენტულად დადგენილი ბლოკ-სქემის საფუძველზე განხორციელდა მრავალვარიანტული სიმულაცია და მიღებული კრიტერიუმის შესაბამისად განისაზღვრა აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური სიდიდეები. აღნიშნული გზით შესაძლებელი გახდება ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მაღლი სიზუსტით დაიგეგმოს (ყოველსაათობრივი ან დღე-დამური) აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური პარამეტრები. შემუშავებული მოდელს აქვს უნივერსალური ხასიათი. მისი მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი კონფიგურაციის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მაგენერირებელ ობიექტებზე აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური განაწილება. შეთავაზებული მეთოდიკით მიღებული შედეგების პრაქტიკული აპრობაცია განხორციელებულია ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგალითზე.

მესამე ეტაპზე, გამომდინარე იქიდან, რომ ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმებში ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი ფაქტორი პრევენციული (გეგმიურ-გამაფრთხილებელი) რემონტების ოპტიმალური დაგეგმვაა, გადაწყვეტილია სისტემაში პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანა. საკითხისადმი კომპლექსური მიღებომით ოპტიმიზაციის მრავალფაქტორიანი კრიტერიუმის საფუძველზე წრფივი პროგრამირების მეთოდის გამოყენებით შესრულდა მათემატიკური მოდელირება, შეიქმნა შესაბამისი ალგორითმი და ამ მოდელის მიხედვით დადგინდა წლიურ ჭრილში სხვადასხვა პერიოდებად (კვირეების მიხედვით) დაყოფით პრევენციული რემონტების ჩატარების გრაფიკები. შეთავაზებული მეთოდიკით მიღებული შედეგების აპრობაცია განხორციელებულია ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგალითზე.

მეოთხე ეტაპზე მსოფლიო გამოცდილების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციის კრიტერიუმი. ამ კრიტერიუმში ოპტიმალურობის ფაქტორებად მიღებული იქნა:

- მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების ელექტროენერგიის გამომუშავების მაქსიმუმი, დატვირთვის გრაფიკში მათი მონაწილეობის მაქსიმუმი. ელექტროსადგურებში იძულებით გაშვებული წყლის მოცულობის და წყლის ხარჯის მინიმუმი.

- სეზონური ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების მაქსიმუმი და იძულებით გაშვებული წყლის მოცულობის მინიმუმი.

- თბოელექტროსადგურებში სათბობის ხარჯის მინიმუმი.
- თბოელექტროსადგურების გამონაბოლქვა CO_2 ემისიის მინიმუმი.

- იმპორტის მინიმუმი.
- წარმოებული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფის მინიმუმი.

- ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის მაღალი საიმედობის და შესაბამისად ელექტროენერგიის წარმოების შეფერხების რისკის მინიმუმი.

არაწრფივი პროგრამირების მეთოდით წინა ეტაპზე დამუშავებული ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი საპროგნოზო პარამეტრების, ოპერატორული რეზერვის ოპტიმალური საგეგმო მაჩვენებლების, პრევენციული რემონტების გრაფიკის მონაცემების, სასადგურე და სისტემაში არსეული სხვა შეზღუდვების გათვალისწინებით შემუშავებული იქნა ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციის მრავალფაქტორიანი მათემატიკური მოდელი და მისი შესაბამისი ალგორითმი. შეთავაზებული მეთოდიკით მიღებული შედეგების აპრობაცია განხორციელებულია ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგალითზე.

კვლევის შედეგები წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული წარმოების იმ მომიჯნავე სფეროებში, სადაც საქმე გვაქვს ბიზნეს-ინჟინერინგის პროცესებით სისტემების მართვასთან. კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვას დიდი ეფექტის მოტანა შეუძლია სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმალური მართვა უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის ტექნიკურ-

ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. შესაბამისად, ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის ობიექტურობას და მოითხოვს წარმოებაში ახალი პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას.

Abstract

In phd dissertation “Mathematical modeling of optimal modes of power systems operation and optimal planning of preventive maintenance in power facilities” in oder to solve the problem on the modern level it's studied world experience of short-term demand forecasting of electricity, optimal planning of operative reserve of active power, optimal planning of preventive maintenances and in overall optimization planning of power system operation modes. Based on that it is set task of developing of power system's operational modes optimal planning methodology and algorithm on the basis of business-engineering principles by using of modern mathematical methods of optimization of power system's operational processes.

Dissertation works consists of an introduction, drawings and tables lists, four main chapter (with sections), conclusions and the used literature.

According to set task in the early stage by using of neural networks method it's developed multifactor economical-mathematical model and corresponding algorithm of short-term electricity demand forecasting. The results of the testing of the proposed method are carried out on the example of four system.

On the second stage it's solved problem of planning of operative reserve of active power I power system and its optimal allocation on power-generating facilities. Through this direction was chosen multifactor criterion of optimality. Because of uncertainty, problem is solved by using of fuzzy logic method. Bsed on experimentally determined block-scheme multivariant simulation is done and according to criterion optimal values of operative reserve of active power are determined. By this way it will be possible to plan (hourly or daily) with high precision optimum operational parameters of operative reserve of active power. Developed model has universal character. It makes possible in any configuration of the power system to optimally allocate operative reserve of active power on power-generating facilities. The proposed method is implemented by the approbation of the practical example of power system.

On the third stage due to the fact that in power system's operation modes one of the most important factor is optimal planning of preventive (planned-warning) maintenance, problem of optimal preventive maintenance planning is solved. By a complex approach to the problem, based on multifactor criterion of optimization, by using of linear programming method is performed mathematical modeling, Appropriate algorithm is developed and based on this model in the context of a different annual periods (weeks) preventive maintenance schedules are determined. Testing is carried out from the results obtained from the proposed method on the example of the power system.

On the fourth stage based on scientific analisys of world experience optimization criteria of the modes of operation of power system are formed. These optimality criteria factors are:

- The regulatory (reservoir) hydro power plants electricity generation – maximum, maximum participation in electricity demand schedules, Not used water flow (spillage) and used for generation water flow – minimum;
- Seasonal hydro power plants electricity generation – maximum, Not used water flow (spillage) – minimum;
- Minimum fuel cost in thermal power plants;
- Minimum CO₂ emissions in thermal power plants;
- Minimum average weighted tariff of produced electricity;
- High reliability of operation of power system and minimum electricity production interruption risk.

Based on non-linear programming method with taking into account the prediction parameters of short-term electricity demand, optimal planning indicators of operative reserve of active power, schedule data of preventive maintenance, station and other system constraints solved in previous stages multifactor mathematical model and its corresponding algorithm of optimization of operational modes of power system has been developed. Testing is carried out from the results obtained from proposed method on the example of the power system.

The research results can be used successfully in production areas, where we are dealing with a business-engineering principles of system's managements. Practical implementation of the research results can bring great effect on the socio-political field and can accelerate technical progress. This is due to the fact that optimal management of operational modes of power system ensures improvement of technical-economical indicators of organizations, accordingly, objectivity of electricity tariff setting and requires of setting new progressive technologies in production.

შინაარსი

შესავალი	16
1. ლიტერატურის მიმოხილვა.....	26
2. შედეგები და მათი განსჯა.....	41
თავი I. ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირება -----	41
1.1 ამოცანის დასმა და პრობლემის გადაწყვეტის მეთოდოლოგია-----	41
1.2 ექსპერიმენტული ნაწილი-----	47
I თავის დასკვნა-----	52
თავი II. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში განუსაზღრელობის პირობებში აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური დაგეგმვა-----	54
2.1 ამოცანის დასმა და პრობლემის გადაწყვეტის მეთოდოლოგია-----	54
2.2 ექსპერიმენტული ნაწილი-----	69
II თავის დასკვნა-----	78
თავი III. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა-----	80
3.1 ამოცანის დასმა და პრობლემის გადაწყვეტის მეთოდოლოგია-----	80
3.2 ექსპერიმენტული ნაწილი-----	89
III თავის დასკვნა-----	92
თავი IV. ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმალური დაგეგმვა-----	93
4.1 ამოცანის დასმა და პრობლემის გადაწყვეტის მეთოდოლოგია-----	93
4.2 ექსპერიმენტული ნაწილი-----	122
IV თავის დასკვნა-----	136
3. დასკვნა-----	137
გამოყენებული ლიტერატურა-----	141
დანართები-----	148

ცხრილების ნუსხა

ცხრილი №1 სხვადასხვა ქვეყნების ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიული რეზერვის მოთხოვნები -----	36
ცხრილი №2 ელექტროენერგიის მოკლევადიან მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორები -----	43
ცხრილი №3 ელექტროენერგეტიკული სისტემის დატვირთვის კვანძის ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირების ალგორითმი -----	46
ცხრილი №4 ელექტროენერგიის მოკლევადიან მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელობები -----	47
ცხრილი №5 კორელაციური ანალიზის შედეგები -----	48
ცხრილი №6 ფაქტიური პერიოდის საპროგნოზო მაჩვენებლები და პროცენტული გადახრა -----	51
ცხრილი №7 საპროგნოზო პერიოდის (სამი დღის) პროგნოზი და პროცენტული გადახრა სხვადასხვა მეთოდთან შედარებით -----	51
ცხრილი №8 აქტიური სიმძლავრის მოცდენის შეფასების ზოგადი ალბათურ-ვარიანტული ალგორითმი -----	55
ცხრილი №9 პირველი დონისათვის X_1 და X_2 ფაქტორების გავლენა Y_1, Y_2, \dots, Y_i სიდიდეებზე -----	57
ცხრილი №10 მეორე დონისათვის Y_1, Y_2, \dots, Y_i საიმედოობის მახასიათებლების გავლენა Y_s სიდიდეზე -----	57
ცხრილი №11 ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიული რეზერვის ყოველსათობრივი სიდიდის განმსაზღვრელი ალგორითმი- რეზერვის კოდერივის მიზანი-----	60
ცხრილი №12 მაკორექტირებელი ალგორითმი -----	62
ცხრილი №13 i საათის მომუშავე ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პარალელურად პიდროელექტროსადგურების გენერატორების წარმოების და დატვირთვის ნომინალური მნიშვნელობებიდან შესაძლო პროცენტული გადახრები -----	65
ცხრილი №14 i საათის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პარალელურად მომუშავე პიდროელექტროსადგურების გენერატორების წარმოების და დატვირთვის ნომინალური მნიშვნელობებიდან შესაძლო გადახრების სხვადასხვა სცენარები -----	66

ცხრილი №15 i საათის ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის შესაძლო დაუბალანსებლობების სცენარები -----	66
ცხრილი №16 ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის მინიმალური სიდიდის განმსაზღვრელი ალგორითმი (განუსაზღვრელობის გათვალისწინებით) -----	68
ცხრილი №17. ელექტროენერგეტიკული სისტემის ელექტროგადაცემის ხაზების გამტარუნარიანობა -----	70
ცხრილი №18 ელექტროენერგეტიკული სისტემის ყოველსაათობრივად საჭირო საიმედოობის (მისადები რისკის) დონე -----	71
ცხრილი №19 ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ყოველსაათობრივი ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური სიდიდე -----	71
ცხრილი №20 29-ე გენერატორის გამორთვის სიმულაციის შედეგები -	73
ცხრილი №21. 1 სთ-ის სიმულაციის შედეგები -----	77
ცხრილი №22. ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის სიდიდე (მინიმალური, განუსაზღვრელობის გათვალისწინებით) -----	77
ცხრილი №23 $X_1,..,X_{12}$ ფაქტორების და Y_d რეიტინგის შეფასებათა სისტემა -----	81
ცხრილი №24 $X_1,..,X_{12}$ მახასიათებლების გავლენის მატრიცა Y_d რეიტინგზე -----	82
ცხრილი №25. ელექტროენერგეტიკული სისტემის ენერგობიექტზე არსებული ელ.დანადგარების/მოწყობილობების მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ალგორითმი -----	86
ცხრილი №26 ელექტროენერგეტიკული სისტემაში პრევენციულ რემონტში გასაყვანი გენერატორების ოპტიმალური წლიური (კვირეების მიხედვით) გრაფიკის ფორმირების ალგორითმი -----	88
ცხრილი №27 ელ.დანადგარების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (რეიტინგი) -----	89
ცხრილი №28 პრევენციული რემონტისთვის შერჩეული ელექტროდანადგარები -----	90
ცხრილი №29. გენერატორების რემონტების ოპტიმალური გრაფიკი კვირების მიხედვით -----	91

ცხრილი №30 ლექტონენერგეტიკულ სისტემაში ყოველსაათობრივი (დღე-დამური) მუშაობის ოპტიმალური რეჟიმის ანგარიშისა და დაგეგმვის ალგორითმი -----	121
ცხრილი №31 ელექტროენერგეტიკული სისტემის ელექტროგადაცემის ხაზების ტექნიკური პარამეტრები -----	123
ცხრილი №32 მარეგულირებელი პიდროელექტროსადგურის ტექნიკური მონაცემები -----	123
ცხრილი №33 სეზონური პიდროელექტროსადგური №1-ის ტექნიკური მონაცემები -----	124
ცხრილი №34 სეზონური პიდროელექტროსადგური №2-ის ტექნიკური მონაცემები -----	124
ცხრილი №35 თბოელექტროსადგური №1-ის ტექნიკური მონაცემები- 124	
ცხრილი №36 თბოელექტროსადგური №2-ის ტექნიკური მონაცემები --124	
ცხრილი №37. ელექტროენერგეტიკული სისტემის პიდროელექტროსადგურებზე წყლის ჩამონადენის დღე-დამური პროგნოზი -----	125
ცხრილი №38. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არსებული გენერატორების საექსპლუატაციო მდგომარეობები -----	125
ცხრილი №39. ელექტროსადგურებს შორის აქტიური სიმძლავრის საწყისი ოპტიმალური განაწილება -----	126
ცხრილი №40. ელექტროენერგეტიკული სისტემისთვის ყოველსაათობრივად საჭირო ოპერატორიული რეზერვის სიდიდე -----	127
ცხრილი №41. ელექტროსადგურებს შორის აქტიური სიმძლავრის ოპტიმალური განაწილება ოპერატორიული რეზერვის გათვალისწინებით -----	128
ცხრილი №42. პარალელურად მომუშავე გენერატორის რეაქტიული სიმძლავრის წარმოების ზედა და ქვედ ზღვრები -----	130
ცხრილი №43. პარალელურად მომუშავე გენერატორების აქტიური სიმძლავრის ფარდობითი დანაკარგების ნაზრდი მაბალანსებული კვანძის მიმართ -----	131
ცხრილი №44. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში გადანაწილებული აქტიური სიმძლავრის დანაკარგების მნიშვნელობები -----	132
ცხრილი №45. ელექტროსადგურებს შორის აქტიური სიმძლავრის ოპტიმალური განაწილება აქტიური სიმძლავრის ოპერატორიული რეზერვის და დანაკარგების გათვალისწინებით -----	133
ცხრილი №46. შედარებითი ანალიზის შედეგები -----	135

ნახაზების ნუსხა

ნახაზი №1 შეცდომების გასწორების ალგორითმი	45
ნახაზი №2 ქ. თბილისის ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი (დღიური) პროგნოზირების მოდელი	49
ნახაზი №3 ქ. თბილისის ელექტროენერგიის მოხმარების 2011 წლის მარტის თვის ყოველდღიური ფაქტიური და საპროგნოზო მაჩვენებლები (ხელოვნური ნეირონული ქსელის მოდელით მიღებული)	56
ნახაზი №4 სამკუთხედის წევრის ზოგადი ფუნქცია	57
ნახაზი №5 ჩამოყალიბებული წესების ზოგადი სტრუქტურა	58
ნახაზი №6 არამკაფიო მოდელირების ინტერაქტიული ზოგადი ბლოკ-სქემა	59
ნახაზი №7 ელექტროენერგეტიკული სისტემის ცალხაზოვანი სქემა	69
ნახაზი №8 ყოველსაათობრივი საიმედოობის დონის შეფასების არამკაფიო ლოგიკის ორდონიანი მოდელი	70
ნახაზი №9 ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პარალელურად მომუშავე გენერატორებზე განაწილებული ოპერატიული რეზიუმების სიდიდე	72
ნახაზი №10 ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პარალელურად მომუშავე გენერატორების მიერ ელექტროენერგიის წარმოება	73
ნახაზი №11 ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პარალურად მომუშავე გენერატორების ელექტროენერგიის ყოველსაათობრივი წარმოება 29-ე გენერატორის გამორთვის შემთხვევაში	74
ნახაზი №12 ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სიმძლავრეთა განაწილება ნორმალურ რეჟიმში	75
ნახაზი №13. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სიმძლავრეთა განაწილება ავარიულ რეჟიმში 29-ე გენერატორის გამორთვის დროს-	75
ნახაზი №14 ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სიმძლავრეთა განაწილების კორექტირებული სიდიდეები ნორმალურ რეჟიმში	76
ნახაზი №15 ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სიმძლავრეთა განაწილების კორექტირებული სიდიდეები ავარიულ რეჟიმში 29-ე გენერატორის გამორთვის შემთხვევაში	76
ნახაზი №16 სამკუთხედის წევრის ზოგადი ფუნქცია	83

ნახაზი №17	ჩამოყალიბებული წესების ზოგადი სტრუქტურა	-----	83
ნახაზი №18	ელექტროდანადგარის კომპლექსური ტექნიკურ-ეკონომიკური მდგრმარეობის შეფასების ზოგადი მოდელი	-----	84
ნახაზი №19	ქვესადგურის ერთ-ერთი მინაერთის უჯრედის ცალხაზოვანი სქემა	-----	89
ნახაზი №20	ჰიდროელექტროსადგურების საშუალო წყალმომარაგება (მკვებავი მდინარეების წყლის ჩამონადენი) კვირეების მიხედვით, მ ³ /წ	-----	91
ნახაზი №21	სათბობის სახარჯო მახასიათებელი სარქველის ეფექტის გათვალისწინებით და გათვალისწინების გარეშე (5 სარქველის შემთხვევაში)	-----	96
ნახაზი №22	ელექტროენერგეტიკული სისტემის ცალხაზოვანი სქემა-	122	

დანართების ნუსხა

დანართი №1. ელექტროენერგეტიკული სისტემის გენერატორების ტექნიკური მონაცემები	148
დანართი №2. ელექტროენერგეტიკული სისტემის დატვირთვის პარამეტრების საათობრივი ტექნიკური მონაცემები	149
დანართი №3. ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის მოცდენის ალბათობრივ-ვარიანტული ცხრილი	149
დანართი №4. ნახ №4-ზე მოცემული ცალხაზოვანი სქემის ელემენტების მონაცემებია	150
დანართი №5. ელექტროენერგეტიკული სისტემის გენერატორების ტექნიკური მონაცემები	151
დანართი №6. ელექტროენერგეტიკული სისტემის პიკური დატვირთვის მაჩვენებლები კვირეების მიხედვით, მგვტ	152
დანართი №7. დატვირთვის კვანძების აქტიური და რეაქტიული სიმძლავრების მოხმარების პროგნოზი	153
დანართი №8. ელექტროსადგურების გენერატორების სათბობის სახარჯო და CO ₂ ემისიის მახასიათებლები	155
დანართი №9. ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის ოპტიმალური რეჟიმი (1 საათი)	157
დანართი №10. ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის ოპტიმალური რეჟიმი (2 საათი)	157
დანართი №11. ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის ოპტიმალური რეჟიმი (3 საათი)	158
დანართი №12. ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის ოპტიმალური რეჟიმი (4 საათი)	158
დანართი №13. ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის ოპტიმალური რეჟიმი (5 საათი)	159
დანართი №14. ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის ოპტიმალური რეჟიმი (6 საათი)	159
დანართი №15. ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის ოპტიმალური რეჟიმი (7 საათი)	160

შესავალი

სამუშაოს აქტუალობა, მიზანი და კვლევის სიახლე.

ელექტროენერგეტიკული სისტემების მართვაში მუშაობის რეჟიმების დაგეგმვა დროის ოპერატორულ ინტერგალებში (კვირიდან დღე-დამურამდე) წარმოადგენს ელექტროენერგიის და სიმძლავრის ბალანსების ფორმირების და მათი შემდგომი აღსრულების ჯაჭვში მნიშვნელოვან და განუყოფელ რგოლს. დაგეგმვის ხარისხზე არის დამოკიდებული ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, მათ შორის მომხმარებლების ელექტროენერგიის მომარაგების საიმედოობა, ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის და მთლიანად ელექტროენერგიის ბაზრის ფუნქციონირებაში მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტიანობის მიღწევა.

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ელექტროენერგეტიკული დარგი დაეჭვემდებარა არსებით გარდაქმნებს. შეიცვალა საკუთრების ფორმები, განხორციელდა მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებიდან ეკონომიკური სტიმულირების მეთოდებზე გადასვლა. ჩამოყალიბდა ელექტროენერგიის შეფასების ახალი კონკურენტული მოდელები, ყოველივე აღნიშნული არ შეიძლება არ შეხებოდა ენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ყოველ-კვირეულ ან დღე-დამურ დაგეგმვის ტექნოლოგიას. ელექტროენერგეტიკულ სისტემებში შემავალი მაგენერირებელი მოწყობილობების მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან ერთად ხდება სახელშეკრულებო ვალდებულებების და ელექტროენერგიის ბაზრის თითოეული მონაწილის ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინება, რაც განაპირობებს ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის (დღე-დამურ-საათობრივი) დაგეგმვის ტექნოლოგიის სერიოზულ ცვლილებებს, რაც თავისთავად იწვევს მიზნის ფუნქციის აუცილებელ გადახედვას, მუშაობის რეჟიმების დაგეგმვაში ახალი მეთოდების დანერგვის და მათი გადაწყვეტისადმი ახალი მიდგომების აუცილებლობას. დღევანედელ პირობებში წინა პლანზე იწევს ელექტროენერგეტიკული

სისტემის მუშაობის რეჟიმებზე მოქმედი ყველა შესაძლო ფაქტორის გათვალისწინებით ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის რეჟიმების დაგეგმვის და ოპტიმიზაციის ახალი კრიტერიუმების დადგენა.

ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის რეჟიმების დაგეგმვის მიმართულებით ჩატარებული კვლევების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ელექტროენერგეტიკული დარგის უწყვეტი და ეკონომიკურად ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად ელექტროენერგეტიკული მუშაობის რეჟიმების დაგეგმვის და ახალი ელექტროენერგიის ბაზრების ფუნქციონირების პირობებში ოპტიმიზაციის ამოცანების გადაწყვეტის სამეცნიერო-ტექნიკური პრობლემები არასაკმარისი მოცულობით არის დამუშავებული. რეჟიმების ოპტიმიზაციის კრიტერიუმები არ ატარებენ კომპლექსურ ხასიათს, არ ითვალისწინებენ რეჟიმებზე მოქმედ ფაქტორთა ფართო წრეს და რეჟიმული პროცესების მიმდინარეობის განუსაზღვრელობის პრობლემას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს თანამედროვე მათემათიკური მეთოდების, ნეირონული ქსელების, არამკაფიო ლოგიკის და არაწრფივი პროგრამირების გამოყენებით განუსაზღვრელობის პირობებში ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციის პრობლემის გადაწყვეტა მრავალფაქტორიანი კრიტერიუმის საფუძველზე.

მოცემული სამუშაოს შესრულების აქტუალობა მნიშვნელოვანწილად იმითაც არის განპირობებული, რომ პრობლემის შეთავაზებული სახით გადაჭრა, საშუალებას აძლევს ელექტროენერგეტიკული სისტემის სადისპერსიურო და ეკონომიკური მართვის სტრუქტურებს მაღალი სამედოობით და ეფექტურად წარმართონ თავიანთი პროფესიული საქმიანობა.

წარმოდგენილი სამუშაოს შესასრულებლად გამოყენებულია სამეცნიერო კვლევის თანამედროვე მეთოდები თვისობრივად ახლებურადაა გადაწყვეტილი ყველა დასმული ამოცანა. კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ელექტროენერგეტიკული სისტემის რეჟიმების დაგეგმვა გათვალისწინებულია ბიზნესის-ინჟინერინგის პრინციპების საფუძველზე,

მართვის პროცესების ოპტიმიზაციის გზით. საკითხისადმი ასეთი მიღებობით გადაწყვეტილია ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი (დღე-დამე, საათი) პროგნოზირების ამოცანა მაღლი სიზუსტის უზრუნველსაყოფად მრავალფაქტორიანი კრიტერიუმის საფუძველზე ნეირონული ქსელების მეშვეობით განხორციელდება ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზი. შესრულდება ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის ოპტიმალური ოპერტიული რეზერვის დაგეგმვა. ვინაიდან ოპერატიული რეზერვის სიდიდეების ცვალებადობა ატარებს განუსაზღვრელობის ხასიათს, არამკაფიო ლოგიკის მეთოდის მეშვეობით მრავალფაქტორიანი კრიტერიუმით გადაიჭრება აქტიური სიმძლავრის ოპრატიული რეზერვის ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანა.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების წინსწრებულად გადაწყვეტა განპირობებული იმით, რომ მოცემული სამუშაოს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე შესრულება შეუძლებელია ელექტროენერგიის მოხმარების ზუსტი მოკლევადიანი პროგნოზის, სისტემაში აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის და პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის გარეშე.

სადისერტაციო ნაშრომით გათვალისწინებულ კვლევების მთავარი სიახლე მდგომარობს იმაში, რომ განუსაზღვრელობის პირობებში ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციის განსახორციელებლად შერჩეულია ოპტიმალურობის, მრავალფაქტორიანი კომპლექსური ხასიათის მატარებელი კრიტერიუმი, რომელშიც აისახება სისტემაში შემავალი:

- მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების ელექტროენერგიის გამომუშავების მაქსიმუმი, დატვირთვის გრაფიკში მათი მონაწილეობის მაქსიმუმი. ელექტროსადგურებში იძულებით გაშვებული წყლის მოცულობის და წყლის ხარჯის მინიმუმი.
- სეზონური ჰიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების მაქსიმუმი, დატვირთვის გრაფიკში მათი მონაწილეობის მაქსიმუმი და იძულებით გაშვებული წყლის მოცულობის მინიმუმი.
- ობოედექტროსადგურებში სათბობის ხარჯის მინიმუმი.

• თბოელექტროსადგურების გამონაბოლქვში CO_2 ემისიის
მინიმუმი.

• წარმოებული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი
ტარიფის მინიმუმი.

• ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის მაღალი
საიმედოობის და შესაბამისად ელექტროენერგიის წარმოების
შეფერხებების რისკის მინიმუმი.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გაჩვენებლის
ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმში განუხელი
დაცვა დიდი სიზუსტით უზრუნველყოფს სისტემის მუშაობის
რეჟიმების ოპტიმალურობას, მთლიანობაში სისტემის მუშაობის
რეჟიმების ოპტიმიზაციის პრობლემა გადაწყვეტილია
ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზური
პარამეტრების, აქტიური სიმძლავრის ოპერატორი რეზერვის
ოპტიმალური სიდიდეების, ენერგოობიექტებზე პრევენციული
რემონტების ჩატარების ოპტიმალურად დაგეგმილი გრაფიკის დაცვით,
სასადგურე და სისტემაში არსებული სხვა ტექნიკური შეზღუდვებით.

ჩამოთვლილი კრიტერიუმების და შეზღუდვების
გათვალისწინების საფუძველზე ნეირონული ქსელების, არამკაფიო
ლოგიკის და არაწრფივი პროგრამირების პიბრიდული მოდელის
გამოყენებით შემუშავდება განუსაზღვრელობის პირობებში
ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმალური
დაგეგმვის მრავალვარიანტული ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი და
შესაბამისი ალგორითმი. მიღებული კვლევის შედეგები აპრობირებულია
ელექტროენერგეტიკულ სისტემაზე.

კვლევის ობიექტი და ამოცანები. კვლევის ობიექტად
შერჩეულია ელექტროენერგეტიკული სისტემა. მეცნიერებლი კვლევის
საფუძველზე მისი მუშაობის რეჟიმების ოპტიმალური დაგეგმვის
პრობლემის გადაწყვეტა.

კვლევის სტრატეგიად მიღებულია ბიზნეს-ინჟინერინგის
პრინციპებით, ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის პროცესების
მართვის ოპტიმიზაციის თანამედროვე მათემატიკური მეთოდების

გამოყენებით სისტემის ფუნქციონირების რეჟიმების ოპტიმალური დაგეგმვის მეთოდიკის და ალგორითმის შემუშავება.

კვლევა განხორციელდება 4 ეტაპად.

პირველ ეტაპზე ნეირონული ქსელების გამოყენებით შემუშავდება ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი (საათი, დღე-დამე) პროგნოზირების მრავალფაქტორიანი ეპონომიკურ-მათემატიკური მოდელი და შესაბამისი ალგორითმი. მიღებული შედეგების აპრობაციის მიზნით, შეთავაზებული მეთოდიკით ელექტროენერგეტიკული სისტემის დატვირთვის კვანძის მაგალითზე ჩატარდება ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირება.

მეორე ეტაპზე გადაწყვდება ელექტროენერგეტიკულ სისტემაში აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური სიდიდის დაგეგმვის და მაგენერირებელ ობიექტებზე მისი განაწილების პრობლემა. ამ მიმართულებით შეირჩევა ოპტიმალურობის მრავალფაქტორიანი კრიტერიუმი. ვინაიდან ოპერატიული რეზერვირება ატარებს განუსაზღვრელობის ხასიათს, დასმული ამოცანა გადაწყვდება არამკაფიო ლოგოკის მეთოდის გამოყენებით. ექსპერიმენტულად დადგენილი ბლოკ-სქემის საფუძველზე განხორციელდება მრავალვარიანტული სიმულაცია და მიღებული კრიტერიუმის შესაბამისად განისაზღვრება აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური სიდიდეები. ამ გზით შესაძლებელი გახდება ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მაღლი სიზუსტით დაგენერირებულ საოვალო (ყოველსაათობრივი ან დღე-დამური) აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური პარამეტრები. შემუშვებული მოდელი იქნება უნივერსალური ხასიათის. მისი მეშვეობით შესაძლებელი იქნება ნებისმიერი კონფიგურაციის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მაგენერირებელ ობიექტებზე აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური განაწილება. შეთავაზებული მეთოდიკით მიღებული შედეგების აპრობაცია განხორციელებული იქნება ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგალითზე.

მესამე ეტაპზე, გამომდინარე იქიდან, რომ ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმებში ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი ფაქტორი პრევენციული (გეგმიურ-გამაფრთხილებელი) რემონტების ოპტიმალური დაგეგმვაა, გადაწყვეტილი იქნება სისტემაში პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანა. საკითხისადმი კომპლექსური მიღებომით ოპტიმიზაციის მრავალფაქტორიანი კრიტერიუმის საფუძველზე წრფივი პროგრამირების მეთოდის გამოყენებით შესრულდება მათემატიკური მოდელირება, შეიქმნება შესაბამისი ალგორითმი და ამ მოდელის მიხედვით დადგინდება წლიურ ჭრილში სხვადასხვა პერიოდებად (კვირების მიხედვით) დაყოფით პრევენციული რემონტების ჩატარების გრაფიკები. შეთავაზებული მეთოდიკით მიღებული შედეგების აპრობაცია განხორციელებული იქნება ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგალითზე.

მეოთხე ეტაპზე მსოფლიო გამოცდილების მეცნიერებლი ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდება ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციის კრიტერიუმი. ამ კრიტერიუმში ოპტიმალურობის ფაქტორებად მიღებული იქნება:

- მარეგულირებელი პიდროელექტროსადგურების ელექტროენერგიის გამომუშავების მაქსიმუმი, დატვირთვის გრაფიკში მათი მონაწილეობის მაქსიმუმი. ელექტროსადგურებში იძულებით გაშვებული წყლის მოცულობის და წყლის ხარჯის მინიმუმი.
- სეზონური პიდროელექტროსადგურების მიერ ელექტროენერგიის გამომუშავების მაქსიმუმი და იძულებით გაშვებული წყლის მოცულობის მინიმუმი.
- ობოედექტროსადგურებში სათბობის ხარჯის მინიმუმი.
- ობოედექტროსადგურების გამონაბოლქვაში CO_2 ემისიის მინიმუმი.
- წარმოებული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფის მინიმუმი.
- ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის მაღალი საიმედობის და შესაბამისად ელექტროენერგიის წარმოების შეფერხებების რისკის მინიმუმი.

არაწრფივი პროგრამირების მეთოდით წინა ეტაპზე დამუშავებული ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი

საპროგნოზო პარამეტრების, ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური საგეგმო მაჩვენებლების, პრევენციული რემონტების გრაფიკის მონაცემების, სასადგურე და სისტემაში არსეული სხვა შეზღუდვების გათვალისწინებით შემუშავებული იქნება ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციის მრავალფაქტორიანი მათემატიკური მოდელი და მისი შესაბამისი ალგორითმი. შეთავაზებული მეთოდიკით მიღებული შედეგების აპრობაცია განხორციელებული იქნება ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგალითზე.

კვლევის მეთოდები. დასმული ამოცანების გადასაჭრელად გამოყენებულია პროცესების მოდელირების თანამედროვე ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები. ნაშრომის მიხედვით დაგეგმილი ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი (საათი, დღე-დამე) პროგნოზირების ამოცანის გადასაჭრელად ნეირონული ქსელების გამოყენება იმით არის განპირობებული, რომ ეს მეთოდი საშუალებას იძლევა გათვალისწინებული იყოს ელექტროენერგიის მოხმარებაზე მოქმედი ყველა შესაძლო როგორც ტექნიკური, ისე ეკოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორები, რაც მთვარია შესაძლებელია მაღალი სიზუსტით განხორციელდეს ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირება. ვინაიდან სისტემაში აქტიური სიმძლავრის ოპერატიულ რეზერვზე მოთხოვნა ატარებს განუსაზღვრელობის ხასიათს. ეს პრობლემა გადაჭრილია არამკაფიო ლოგიკის მეთოდით. პრობლემებისადმი ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა მრავალი შესაძლო ვარიანტიდან შეარჩიოს ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც მაღალი სიზუსტით დაადგენს სისტემაში აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური სიდიდეებს და ამ რეზერვის გენერაციის ობიექტზე ოპტიმალურ განაწილებას. კვლევის მეთოდიკის შესაბამისად ენერგოსისტემის ობიექტზე პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა შესრულდება წრფივი პროგრამირებით.

კვლევის მეთოდიკის მოთხოვნებს სრულყოფილად პასუხობს ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმალური

დაგეგმვის პრობლემების გადასაჭრელად გამოყენებული თანამედროვე მათემატიკური მეთოდების, ნეორონული ქსელების, არამკაფიო ლოგიკის და არაწრფივი პროგრამირების ერთიანი პიბრიდული მოდელი. ამ ურთულესი მათემატიკური მოდელის უმთავრეს უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამ მოდელის მეშვეობით შესაძლებელია სისტემის მუშობის რეჟიმებში გათვალისწინებული იყოს ყველა შემთხვევითი ხასიათის ხდომილებები, ოპტიმალურობის კრიტერიუმის მაფორმირებელი ფაქტორები და შეზღუდვების მთელი კომპლექსი.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომში განხორციელებული კვლევის შედეგები წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული წარმოების იმ მომიჯნავე სფეროებში, სადაც საქმე გვაქვს ბიზნეს-ინჟინერინგის პრონციპებით სისტემების მართვასთან. კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვას დიდი ეფექტის მოტანა შეუძლია სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში და ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმალური მართვა უზრუნველყოფს ორგანიზაციის საქმიანობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. შესაბამისად, ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის ობიექტურობას და მოითხოვს წარმოებაში ახალი პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას.

აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამნოქვეყნებულია საერთაშორისო რეცენზირებად და რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში: “ენერგია”, “EnergyOnline”, “ბიზნეს-ინჟინერინგი” და “საქართველოს ეკონომიკა” შემდეგი სამეცნიერო შრომების სახით:

1. ჯაფარიძე დ. მალრაძე თ. “ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა”. ჟურნალი “ბიზნეს-ინჟინერინგი”. №2 თბილისი. გვ:107-115. 2013 წელი.

2. ართილავა ა. მალრაძე თ. “პროგნოზირების მოდელების გამოყენებით ენერგოკომპანიის წმინდა მოგების გაანგარიშების თავისებურებები”. ჟურნალი “ენერგია”. №1(65). თბილისი. გვ: 53-57. 2013 წელი.

3. ჯაფარიძე დ. მაღრაძე ო. “ბიზნეს-ინჟინერინგის პრინციპებით ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპტიმალური მართვის უზრუნველსაყოფად ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირება”. უკრნალი “ბიზნეს-ინჟინერინგი”. №4. თბილისი. გვ: 188-194. 2012 წელი.

4. Japaridze D. Magradze T. “Optimal planning of operative reserve of active power in power system under conditions of uncertainty”. Online scientific-technical journal “EnergyOnline”. №6. Tbilisi. Pages: 1-16. 2012 year.

5. Japaridze D. Magradze T. “Middle-term prediction of electricity demand in Georgia by using of multifactor model”. International scientific-analytical journal “Economy of Georgia”. №3(136). Pages: 32-38. 2009 year.

6. ჯაფარიძე დ. მაღრაძე ო. “საქართველოში ელექტროენერგიის წარმოების საშუალო-ვადიანი პროგნოზირება”. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური უკრნალი “საქართველოს ეკონომიკა”. №7-8(128-129). გვ: 96-101. 2008 წელი.

ნაშრომის თემატიკის ირგვლივ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოეწყო თრი თემატური სემინარი და კოლოქვიუმი შემდეგი სახელმწოდებებით:

I სემინარი: “ელექტროენერგეტიკული სისტემის ელექტროსადგურების მუშაობის რეჟიმების მართვის მსოფლიო გამოცდილება და თანამედროვე მეთოდების საქართველოში დანერგვის პერსპექტივები”

II სემინარი: “საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების მდგრმარეობის შეფასება და მისი ამდღების გზები”

კოლოქვიუმი: “ელექტროენერგეტიკულ სისტემაში აქტიური სიმბლავრის ოპერატორი რეზერვის და რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა”.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი საკითხები მოხსენების სახით გაშუქდა სამეცნიერო კონფერენციაზე სახელმწოდებით:

1. “ელექტროენერგეტიკულ სისტემაში განუსაზღვრელობის პირობებში აქტიური სიმბლავრის ოპერატორი რეზერვის ოპტიმალური დაგეგმვა”. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს

“პიდროვნერგეტიკაში ინვესტიციების ხელშეწყობის პროცესისა” და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთობლივი კონფერენცია: “ახალგაზრდა ინჟინრების როლი საქართველოს ენერგეტიკის სექტორში”. სტუ. 17 აპრილი, 2013 წელი.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 169 გვერდს. იგი შედგება, შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, შედეგების განსჯისა და დასკვნითი ნაწილისაგან. შედეგების განსჯა თავის მხრივ შედგება 4 თავისა და 8 პარაგრაფისგან. თითოეულ თავს თან ერთვის თავისი დასკვნა. ნაშრომში ჩართულია 46 ცხრილი, 22 ნახატი, 33 დანართი, ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

ლიტერატურის მიმოხილვა

ელექტროენერგეტიკული სისტემის გართულების და სიმძლავრის მუდმივი ზრდის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმალური მართვის საკითხის გადაწყვეტას. ოპტიმიზაციის ღონისძიებების გატარება არ მოითხოვს დიდ კაპიტალურ ხარჯებს, მაგრამ მათი გამოყენებით წარმოქნება ის რეზერვი, რომელიც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად ამაღლდეს ელ. ენერგიის წარმოების, გადაცემისა და განაწილების ეკონომიკური, ტექნიკური და სხვ. ეფექტიანობა.

ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის რეჟიმების მათემატიკური მოდელირების/დაგეგმვის პრობლემების და მათი გადაჭრის გზები ჩამოყალიბებულია მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების ფუნდამენტური შრომების დრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე [1,2,3,4,5].

ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მუშაობის რეჟიმების დაგეგმვის კუთხით არსებული მეთოდები იყოფა სამ კატეგორიად: დეტერმინირებული, არატრადიციული და პიბრიდული მეთოდები [6].

ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის რეჟიმების მათემატიკური მოდელირების ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდებია: არაწრფივი პროგრამირების [7], დინამიკური პროგრამირების [8] და ლაგრანჟის მეთოდი [9]. აღნიშნულ მეთოდებში დისპეტჩერიზაციის დღე-ლამური პერიოდი იყოფა თანაბარ პერიოდებად, სადაც ერთი პერიოდის დატვირთვა ჩათვლილია მუდმივ სიდიდედ [10].

ბენერტი და კვატნი იყვნენ პირველნი, რომელთაც შემოგვთავაზეს პარალელურად მიმუშავე თბოელექტროსადგურების გენერატორებს შორის აქტიური დატვირთვის ოპტიმალური განაწილების შეზღუდვები. მათ გააერთიანეს ანალიტიკური და აქტიური სიმძლავრის ეკონომიკური განაწილების პრინციპები ერთ დინამიკური ოპტიმალური კონტროლის

პრობლემად. შემუშავებულ იქნა შესაბამისი კონტროლერი, რომელიც ამოხსნილ იქნა პონტრიაგინის მაქსიმუმის პრინციპის მიხედვით [11].

არაწრფივი პროგრამირების ალგორითმი შემოტანილ იქნა [7] მიერ, აქტიური სიმძლავრის ოპტიმალური განაწილების პრობლემა გადაწყვეტილია სისტემის ოპერატორული რეზერვის შეზღუდვის გათვალისწინებით. თუმცა მასში არ არის გათვალისწინებული ელექტროგადაცემის დანაკარგები, რის გამოც აღნიშნულმა მეთოდმა დაკარგა პრაქტიკულობა.

[8] ნაშრომში თანმიმდევრული აპროქსიმაციის საფუძველზე შემუშავებულია პროცედურა, რომელშიც აქტიური სიმძლავრის განაწილების პრობლემა დაყოფილია რამდენიმე ეტაპად. ყოველ ეტაპზე პრობლემის გადაწყვეტა განხორციელებულია ორი გენერატორის მონაწილეობით. შემოთავაზებულ იქნა სამი დამაწყვილებელი სქემა, მაგრამ კონკრეტული საუკეთესო სქემა არ იქნა შემოთავაზებული. პირველად შემოთავაზებულ იქნა წრიული-დაწყვილების სქემა, სადაც გენერატორებს ჰქონდათ მინიჭებული ინდექსები სათბობის ხარჯის ფარდობითი ნაზრდის მიხედვით “ყველაზე იაფი”-დან “ყველაზე ძვირი”-მდე. შემდგომი თანმიმდევრობა გულისხმობდა სპირალური დაწყვილების სქემას. “ყველაზე იაფი” გენერატორ დაწყვილდა “ყველაზე ძვირთან”, შემდგომ “ყველაზე ძვირი” გენერატორი დაწყვილდა შემდგომ “ყველაზე იაფთან”. შემდგომ “ყველაზე იაფი” დაწყვილდა “ყველაზე ძვირთან” და ა.შ. ზემოთ აღნიშნული ორი სქემის კომბინაცია წარმოადგენს მესამე დაწყვილების სქემას.

[8,11,12]-ში შემოთავაზებული მეთოდები უგულებელყოფენ ელექტროგადაცემის დანაკარგებს და ოპერატორული რეზერვის შეზღუდვებს. მეორეს მხრივ გუდმა [9]-ში გაითვალისწინა აღნიშნული შეზღუდვები მაგრამ არ გაითვალისწინა თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტი. აღნიშნული ამოხსნილ იქნა ლაგრანჟის მამრავლების მეშვეობით.

სისტემაში აქტიური სიმძლავრის ოპტიმალური განაწილების დაგეგმვა წრფივი პროგრამირების მეთოდებით შემოტანილ იქნა [13]-ში უსაფრთხოების და ემისიის შეზღუდვების გათვალისწინებით. მაგრამ აღნიშნულ პლევაში არ არის გათვალისწინებული ოპერატორი რეზერვის შეზღუდვები და თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტი.

[14] კვლევის ავტორებმა შექმნეს რამდენიმე ეტაპიანი პრობლემის ამოხსნის ალგორითმი. ალგორითმი წარმოადგენს მათი წინა სამუშაოს [15] გაფართოებას. ალგორითმი შეიცავს გენერატორების დატვირთვის ცვლილების დიაპაზონის შეზღუდვას და რამდენიმე ეტაპიან პერიოდებს. თითოეული ეტაპი შედის მიზნის ფუნქციაში ლაგრანჯის მამრავლის სახით. ალგორითმი შეიცავს უსაფრთხოების შეზღუდვებს, თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტის გათვალისწინების გარეშე.

[16] ავტორებმა გაანალიზეს ელექტროენერგეტიკული სისტემის დინამიკური შეზღუდვების გავლენის ეფექტი აქტიური სიმძლავრეების ოპტიმალურ მოკლევადიან განაწილებაზე დერეგულირებულ გარემოში თანმიმდევრული დინამიკური პროგრამირების მეთოდის გამოყენებით. სისტემის უსაფრთხოება გათვალისწინებულ იქნა მუდმივი დენის მოდელის მეშვეობით, ელექტროგადაცემის დანაკარგების უგულებელყოფით.

[17] ავტორმა გამოიყენა მიულერის ალგორითმი აქტიური სიმძლავრის ოპტიმალური განაწილების პრობლემის გადასაჭრელად. შემოთავაზებული ალგორითმი გულისხმობს ლამბდა მნიშვნელობების შერჩევას. შემდგომ, გენერატორების მიერ ელექტროენერგიის წარმოება გამოხატულია ლამბდით ინტერპოლაციის მეთოდის გამოყენებით და ლამბდის რეალური მნიშვნელობები გამოთვლილია აქტიური სიმძლავრის ბალანსის შეზღუდვებით მიულერის მეთოდის გამოყენებით. აპრობაცია განხორციელდა ორ სატესტო სისტემაზე, და შედეგები შედარებულ იქნა სხვა კონკურენტულ მეთოდების შედეგებთან ამოხსნის დროის კუთხით. უთანასწორო შეზღუდვები შეიცავდა გენერატორების დატვირთვის

დიაპაზონის ცვლილების და წარმოების ზღვრების შეზღუდვებს. ელექტროგადაცემის დანაკარგები იქნა უგულებელყოფილი.

ბრენტის მეთოდი – ძებნის მეთოდი [18] იქნა გამოყენებული [19]-ში პარალელურად მომუშავე გენერატორების სათბობის ხარჯის ფარდობითი ნაზრდის გასაგებად თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტის გათვალისწინების გარეშე. ლამბდის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობები გამოთვილ იქნა გენერატორის მინიმალური და მაქსიმალური წარმოების საფუძველზე. წინასწარ განსაზღვრული დატვირთვის დროს ლამბდის ოპტიმალური მნიშვნელობა მირებულ იქნა ბრენტის მეთოდის გამოყენებით. გათვალისწინებულ იქნა ელექტროგადაცემის დანაკარგები, მაგრამ არ იქნა გათვალისწინებული ოპერატიული რეზერვის მნიშვნელობა. შემოტავაზებული მეთოდი უფრო სწრაფი იყო სხვა მეთოდებთან შედარებით და ოპერაციული ხარჯები უმნიშვნელოდ მცირე იყო სხვა მეთოდების შედეგებთან შედარებით.

აქტიური სიმბლავრის ოპტიმალური განაწილების მიზნით Hemamalini *et al.* [20]-ში გამოიყენა მაკლარენის მწყრივებზე დაფუძნებული ლაგრანჟის მეთოდი. შემოტავაზებული მეთოდი ითვალისწინებს თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტს (სინუსოიდალური ფუნქცია). აპროქსიმაციის შეცდომის გასწორების მიზნით გათვალისწინებულ იქნა დამატებითი ფაქტორები. პრობაცია განხორციელდა 3 სისტემაზე თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტის, ოპერატიული რეზერვის და ელექტროგადაცემის დანაკარგების გათვალისწინებით. მეთოდის მთავარი უპირატესობაა სისტრაფე და სხვა მეთოდებთან შედარებით სათბობის ხარჯის შედარებით მცირე მნიშვნელობა.

ეპრისტიკული მეთოდები დეტერმინირებულ მეთოდებთან შედარებით წარმოადგენენ შედარებით ახალ მეთოდებს. არსებობს სხვადასხვა სახის მეთოდები: გენეტიკური ალგორითმები და სხვ და ალგორითმები [21].

[22] ავტორების მიერ შემოთავაზებულ იქნა პარალელური მიკრო გენეტიკური ალგორითმის მოდელი გენერატორების დატვირთვის მიხედვით დაჯგუფების საფუძველზე. კვლევაში გათვალისწინებულია ელექტროგადაცემის დანაკარგები. თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტი და ოპერატიული რეზერვი არ არის გათვალისწინებული.

[23]-ში PSO ალგორითმი შემოთავაზებულია პრობლემის ამოსახსნელად. აღნიშნულ კვლევაში გათვალისწინებულია ოპერატიული რეზერვი, ელექტროგადაცემის დანაკარგები და უსაფრთხოების შეზღუდვები. მეთოდის მთავარი უპირატესობას წარმოადგენს სისტრაფე.

[24]-ში დამუშავებულია აქტიური სიმძლავრის ოპტიმალური განაწილების მრავალმიზნობრივი ოპტიმიზაციის პრობლემის ამონახაზისნი. მასში გათვალისწინებულია შემდეგი მიზნის ფუნქციები: სათბობის ხარჯი და ემისიის მაჩვენებელი. შეზღუდვებში გათვალისწინებულია თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტი და ელექტროგადაცემის დანაკარგები. აღნიშნული ორი ფუნქცია გაერთიანებულ იქნა ერთ ფუნქციად მიზნის-მიღწევის მეთოდის გამოყენებით [25]. საბოლოოდ PSO ალგორითმი იქნა გამოყენებული ერთიანი მიზნის ფუნქციის ამოხსნისთვის.

[26]-ში კვლევაში ავტორმა შეიმუშავა არა-დომინანტი სორტირების გენეტიკური ალგორითმი-II (NSGA-II), რომ ერთდროულად მინიმიზირებულიყო მთლიანი სათბობის ხარჯი და ემისია. შეზღუდვებში გათვალისწინებული იყო თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტი და ელექტროგადაცემის დანაკარგები. ავტორმა შემოგვთავაზა პარეტო-ოპტიმალური ამონახაზისნები. უპირატესობა მდგომარეობს ამონახაზისნის ნაკლებ დროში.

[27] კვლევაში გამოყენებულ იქნა PSO ალგორითმი ფასზე დაფუძნებული სოციალური სარგებლიანობის მაქსიმიზაციისთვის კონკურენტული ბაზრის პირობებში. გათვალისწინებული იყო ორმხრივი მოთხოვნა მიწოდება. დამატებით გათვალისწინებული იყო ემისიის,

უსაფრთხოების და ელექტროგადაცემის დანაკარგების შეზღუდვები. განხილულია ვაჭრობის ორი პერიოდი და ამოხსნილია პრობლემა თავიდან შეზღუდვების გარეშე, ხოლო შემდეგ შეზღუდვებით. კვლევამ აჩვენა, რომ შეზღუდვების რაოდენობის ზრდასთან ერთად თანდათან მცირდებოდა სოციალური სარგებლიანობა.

ელიტარული გენეტიკური ალგორითმი იყო აქტიური სიმძლავრის ოპტიმალური განაწილების პრობლემის გადაწყვეტისთვის [28]-ში. კვლევაში გენერატორის ლირებულების ფუნქციას ჰქონდა წრფივი ხასიათი და გათვალისწინებული იყო ელექტროგადაცემის დანაკარგები. დისპეტჩერიზაციის პერიოდი დაიყო 48 ინტერვალად. თითოეული პერიოდი ამოიხსნა წარმატებით.

შეზღუდული EP მეთოდი იქნა გამოყენებული [29] კვლევაში. შეზღუდვებში გათვალისწინებულია თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტი. არ არის გათვალისწინებული ელექტროგადაცემის დანაკარგები. მეთოდში სიმულაციის დროს შეზღუდვებისგან გადახრები კორექტირდება იტერაციული პროცესით. იმისათვის, რომ დაგენერირდეს ახალი პოპულაცია შემოთავაზებულია შემდეგი პროცედურა. შემთხვევით შერჩეულ დროს თვითონებურად შეირჩა ორი გენერატორი და გამომუშავებული სიმძლავრის წილი გადანაწილდა გენერატორებს შორის ისე, რომ არ დარღვეულიყო დაწესებული შეზღუდვები. აღნიშნული მიდგომა მოითხოვს დიდ დროს განსაკუთრებით დიდი სისტემებისათვის.

[30] კვლევაში ავტორებმა აქტიური სიმძლავრის ოპტიუმალური განაწილება განახაზიორციელეს SA მეთოდის გამოყენებით. შეზღუდვებში გათვალისწინებულია თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტი და ელექტროგადაცემის დანაკარგები. მეთოდი აპრობირებულ იქნა ერთ სატესტო სისტემაზე. ამოხსნას დასჭირდა 6 წუთი. ავტორებმა დაასკვნეს, რომ ალგორითმის გამოყენება პარალელურად მომუშავე პლატფორმებზე შეამცირებს ამოხსნის დროს.

აქტიური სიმძლავრის ოპტიმალური განაწილების პრობლემის ამოხსნისთვის [31] კვლევაში შემოთავაზებული იქნა QEA გაზრდილი რეალური-პარამეტრული კვანტური გვოლუციური ალგორითმი. მასში გათვალისწინებულია თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტი. არ არის გათვალისწინებული ელექტროგადაცემის დანაკარგები. გარდა ამისა, შემუშავებული იქნა ორი ევრისტიკული ალგორითმი ამონახაზისნის მისაღები ზონის აღდგენისა და ამონახაზისნის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ალგორითმებია: მისაღები ზონის აღდგენის ალგორითმი (FRAH) და სათბობის ხარჯის ფარდობითი ნაზრდის ოპტიმიზაციის ევრისტიკული ალგორითმი (ICH). მეთოდი აპრობირებული იქნა ორ სისტემაზე. ირებული შედეგები უფრო გაუმჯობესდა ალტერნატიული მეთოდით მიღებულ შედეგებთან შედარებით.

[32] კვლევაში შემოთავაზებულია აქტიური სიმძლავრის განაწილების პრობლემის ამოხსნის მრავალრიცხოვანი ძებნის ალგორითმი (MTS). იპტიმიზაციის პრობლემა ითვალისწინებს ელექტროგადაცემის დანაკარგებს და თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტი გათვალისწინებულია მუშაობის აკრძალული ზონების საფუძველზე. ტრადიციული მეთოდის გაუმჯობესების მიზნით ავტორებმა შეიმუშავეს დამატებითი პროცედურები: ინიციალიზაცია (დასარწმუნებლად, რომ პოპულაცია აკმაყოფილებს შეზღუდვების მოთხოვნებს), ადაპტური ძებნა (ბიჯის ადაპტური ცვლა, მეზობელი ამონახაზისნების გენერირებისთვის), მრავალრიცხოვანი ძებნა (პარელელური პროცესორების მიერ), გადაკვეთა (გენეტიკული ალგორითმის პარალელური ამონახაზისნების გაუმჯობესების მიზნით), რეინიციალიზაციის პროცესი (ნაადრევი კონვერგენციის თავიდან აცილების მიზნით, როდესაც ძებნა ჩერდება ლოკალურ ამონახაზისნზე). მეთოდის ეფექტურობა დადგინდა სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. სტანდარტული გადახრა და ამოხსნის დრო იყო მნიშვნელოვნად მცირე სხვა მეთოდებთან შედარებით.

[33] კვლევაში ავტორებმა შემოიტანეს უპირატესობაზე დაფუძნებული არა-დომინანტი სორტირების გენეტიკური ალგორითმი (PNSGA). არ იქნა გათვალისწინებული ელექტროგადაცემის დანაკარგები და თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტი.

[34] კვლევაში შემუშავებულ იქნა ცვლადის სკალირების პიბრიდული დიფერენციალური ეკოლუციური ალგორითმი (VSHDE). აღნიშნული მეთოდში გათვალისწინებულია ელექტროგადაცემის დანაკარგები, თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტი და ოპერატიული რეზერვი. ოპერატიული რეზერვის ყოველსათობრივ მოცულობად მიღებულ იქნა დატვირთვის 5%. პრობირებულ იქნა 2 სატესტო სისტემაზე. ამოხსნის დრო შეადგენდა 7 და 23 საათს 10 და 20 გენერატორიანი სისტემებისთვის.

[35]-ში შემუშავებულ იქნა მოდელის ძებნის ალგორითმი (PS). სათბობის ხარჯის მახასიათებელი შეიცავს თბოელექტროსადგურების ტურბინების სარქველის დატვირთვის ეფექტს. გათვალისწინებულია დატვირთვის დიაპაზონის ცვლილების და ელექტროგადაცემის დანაკარგების შეზღუდვები, მაგრამ არ იქნა გათვალისწინებული ოპერატიული რეზერვის შეზღუდვა.

[36] და [37]-ში შემუშავებულ იქნა ხელოვნური იმუნური სისტემა (AIS). ალგორითმი ითვალისწინებს 4 იტერაციულ ალგორითმს: შემთხვევითი პოპულაციის გენერაცია ე.წ იმუნური უჯრედები ან ანტისეულები, პოპულაციის თითოეული წევრის კლონირება მსგავსების პროცენტული მნიშვნელობის მიხედვით, მუტაციის მექანიზმი ცნობილი, როგორც მატურაციის პროცესი, გაუმჯობესების არმქონე ან ლოკალურ ამონახაზისნში გაჭედილი ანტისეულების განადგურება ე.წ დაბერების ოპერატორი. მეთოდების აპრობაცია განხორციელდა ორ სატესტო სისტემაზე. მიღებული შედეგები ამონახაზისნის ხარისხის და დროის მიხედვით იყო უკეთესი სხვა მეთოდებთან შედარებით.

თანამედროვე პირობებში საბაზო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად იზრდება სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის დარგების განვითარების სტრატეგიის დამუშავების აუცილებლობა [38].

პრობლემის გადაწყვეტის აქტუალობიდან გამომდინარე ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირებისადმი მრავალი ცნობილი მეცნიერის ნაშრომია მიძღვნილი [39,40,41,42,43,44,45,46,47,48,49].

ამ კვლევებში ძირითადი აქცენტები გადატანილია პროგნოზირების სტატისტიკურ მეთოდებზე (ავტორეგრესიის მეთოდი, სეზონური მრუდების მეთოდი, ფაქტორული ანალიზი, წრფივი ალგორითმი დაფუძნებული მომავლის განსკვრებაზე უახლოესი წარსულის მონაცემების მიხედვით). ეს მეთოდები საშუალებას იძლევიან დღეების სხვადასხვა ტიპებისათვის აიგოს ავტორეგრესიული მოდელები. სხვა ფაქტორები, ისეთები როგორებიცაა ჰაერის ტემპერატურა, განათებულობის ხარისხი, დღის ხანგრძლივობა, კვირის დღე, ზამთრის დროის საზაფხულო დროზე გადასვლა და პირიქით, ექსტრა-ორდინაციური მოვლენების, ამინდის პირობების პროგნოზები და სხვა ფაქტორები გამოყენებულია გასაშუალებული სიდიდეებით, მათი გავლენა გათვალისწინებულია ელექტროენერგიის მოხმარების წარსული მნიშვნელობების მიხედვით. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა მივიღოთ პროგნოზის კარგი შედეგები სტაბილურ სიტუაციებში [39,42,44,45,46], თუმცა მათი პარამეტრების მოულოდნელი მკვეთრი ცვლილებების დროს ასეთი მიდგომა არ იძლევა საშუალებას გავაკეთოთ სიტუაციის სტორი პროგნოზი, იმის გამო, რომ საქართველოში ადგილი აქვს სიტუაციების მკვეთრ ცვალებადობას ელექტროენერგიის მომხარების მოკლევადიანი პროგნოზირების მითითებული მეთოდი ვერ განხორციელდება სათანადო სიზუსტით. ჩვენს ქვეყანაში ელექტროენერგიის მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზის სირთულეს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მომხმარებლების დიდი რიცხვის არსებობა და ელექტროენერგიის მოხმარებაზე მოქმედი მრავალი ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობა.

ამასთან მეცნიერთა უმრავლესობა [40,41,43,47,48,49] ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირებისათვის ოპტიმალურად თვლის არაკლასიკური მეთოდების გამოყენებას (ხელოვნური ნეირონული ქსელები, არამკაფიო ლოგიკა, გენეტიკური ალგორითმები და სხვა), ვინაიდან ელექტროენერგიის მოთხოვნა მოკლევადიან პერიოდში როგორც წრფივად ისე არაწრფივად დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე მისი კლასიკური მეთოდებით პროგნოზირება გამნელებულია. შეუძლებელია კლასიკური მეთოდების პროგნოზირების დროს რთული კავშირების გათვალისწინება.

სწორედ ამიტომ ბოლო პერიოდში სპეციალისტების მხრიდან [40,41,43,47,48,49], რომლებიც დაკავებულები არიან ელექტროენერგიის მოხმარების დროითი მწკრივების პროგნოზით სულ უფრო დიდი ყურადღება მქონე ხელოვნურ ნეირონულ ქსელებს. ძირითადი მიმზიდველობა ხელოვნური ნეირონული ქსელის გამოყენების ელექტროენერგიის მოხმარების პროგნოზირებაში მდგომარეობს იმაში, რომ ამ შემთხვევაში შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შემავალი პარამეტრების დიდი რაოდენობა – ისტორიული მონაცემები ელექტროენერგიის მოხმარებაზე და შესაბამისი ისტორიული მონაცემები მათზე მოქმედ ყველა ფაქტორზე, რაც მთავარია შემავალი პარამეტრების გავლენის ფუნქცია გამოსავალ შედეგზე შეიძლება იყოს ნებისმიერი სირთულის (არასწრფივი, არასტაციონარული) და უცნობი ფორმის. გარდა ამისა, მოდელის შემავალი პარამეტრების ნაწილი შეიძლება იყოს რიცხვითი ნაწილი, კატეგორიალური [40,41,43,47,48,49,50].

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე უკანასკნელ ათწლეულში მსოფლიოში სიმძლავრის ოპერატორული რეზერვის ოპტიმალური დაგეგმვის სხვადასხვა ასპექტებთან დაკავშირებული კვლევები საკმაო ინტენსივობით წარმოებს [4,5,6,7,8,9,10,11]. ამ შრომებში დასაბუთებულია იმის აუცილებლობა, რომ მოცემული მომენტისათვის ჩასატარებელია გეგმაზომიერი სამუშაოები თეორიულ-ალბათობრივი ანალიზისა და ელექტროენერგეტიკულ სისტემებში საექსპლუატაციო შეზფრთებების

შემთხვევითი პროცესების მახასიათებლების სტატისტიკურ შეფასებასა და მათ ურთიერთკავშირზე სისშირის და აქტიური სიმძლავრის ავტომატური რეგულირების თანამედროვე პრინციპების ნორმატიულ საფუძვლებზე, ავარიული ურთიერთდახმარების განხორციელების პრინციპებზე და ოპერატიული რეზერვირების სხვა პრობლემებზე. მათ შორის სხვა ელექტროენერგეტიკულ სისტემებთან ინტეგრაციის პერსპექტივასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ელექტროენერგეტიკული სისტემების აქტიური სიმძლავრეების რეზერვის მობილობის და სიდიდის განსაზღვრის არსებული მეთოდიკა მთელი სისრულით ვერ პასუხობს პრაქტიკის მოთხოვნებს, რადგანაც სუსტად არის ორიენტირებული დროის ინტერვალებში ავტომატურ და ოპერატიულ მართვაში გამოსაყენებლად. ელექტროენერგეტიკული სისტემების ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური დაგეგმვის პრაქტიკაში ფართოდ არის გამოყენებული დეტერმინირებული და ალბათური მეთოდები [53,54,55,56,58].

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ელექტროენერგეტიკულ სისტემებს გააჩნიათ ოპერატიული რეზერვის დადგენის განსხვავებული კრიტერიუმები [59,60], რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ცხრილ №1-ში

ცხრილი №1 სხვადასხვა ქვეყნების ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატიული რეზერვის მოთხოვნები

ელექტროენერგეტიკული სისტემა	კრიტერიუმი (R_d^t)
საქართველო	მოხმარების მინიმუმ 10% ($10\%P_i^t$)
ავსტრალია და ახალი ზელანდია	$\max(P_i^t)$
BC Hydro (კანადა)	$\max(P_i^{max})$
Manitoba Hydro (კანადა 2)	$80\% \max(P_i^{max}) + 20\% (\sum_{i=1}^n P_i^{max})$
Yukon Electrical (კანადა 3)	$\max(P_i^{max}) + 10\% (P_d^{max})$
ბელგია	UCTE წესები. (ევროპული ქვეყნების ენერგოგაერთიანება). მინიმუმ 460 მგვტ

კალიფორნია	$50\% * \max \left(+7\% P_{other\ generation}, P_{largest\ contingency} \right) + P_{non-firm\ import}$
საფრანგეთი	UCTE წესები. (ევროპული ქვეყნების ენერგოგაერთიანება). მინიმუმ 500 მგბ
PJM (southern) (აშშ) სამხრეთი	$\max(P_i^{max})$
PJM (western) (აშშ) დასავლეთი	$1.5\% (P_d^{max})$
PJM (Other) (აშშ) სხვა დანარჩენი	პიკური დატვირთვის 1.1 % + ტიპიურ დღეებსა და საათებზე ალბათური ანგარიშები
ესპანეთი	მინიმუმ $3(P_d^{max})^{1/2}$ მაქსიმუმ $6(P_d^{max})^{1/2}$
პოლანდია	UCTE წესები. (ევროპული ქვეყნების ენერგოგაერთიანება). მინიმუმ 300 მგბ
UCTE (ევროპული ქვეყნების ენერგოგაერთიანება)	არ არსებობის დადგენილი სტანდარტი. რეკომენდირებული მაქსიმუმია: $(10P_{d,zone}^{max} + 150^2)^{1/2} - 150$

სადაც, P_i^t – t პერიოდის i ელ. სადგურის გამომუშავება; P_i^{max} – t პერიოდის ყველაზე დიდი გამომუშავება (ელ. სადგური); P_d – დატვირთვა.

როგორც ცხრილ №1-ში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს ელექტროენერგეტიკული სისტემების აქტიური სიმძლავრის ოპერატორული რეზერვის დაგეგმვის კრიტერიუმები ძირითადად ატარებენ დეტერმინირებულ ხასიათს და მათში არ არის გათვალისწინებული ელ. სისტემაში მიმდინარე შემთხვევითი პროცესები. არ არის ნაჩვენები ოპერატორული რეზერვის ოპტიმიზაციის პრობლემის გადაწყვეტის გზები. ელექტროენერგეტიკულ სისტემებში აქტიური სიმძლავრის ოპერატორული რეზერვის ოპტიმალური დაგეგმვა მოითხოვს პრობლემისადმი კომპლექსურ მიღებას. ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებას, რომლებიც მოქმედებენ ელ. სისტემის მუშაობის საიმედოობაზე. ელ. სისტემების ფუნქციონირების მოთხოვნილი საიმედოობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია სისტემაში

არსებობდეს აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ისეთი მოცულობა, რომელიც ნებისმიერი ელ. გადაცემის ხაზის და ელ. სადგურის ავარიული გამორთვის შემთხვევაში მაქსიმალურად დააკმაყოფილდება მომხმარებლის ელ. ენერგიის მოთხოვნა და მინიმუმადე დაიყვანება როგორც მწარმოებლის, აგრეთვე მომხმარებლის მოსალოდნელი ზარალი. ამ ამოცანის გადაწყვეტის ყველაზე ეფექტურ გზად მიგვაჩნია ელ. სისტემის ფუნქციონირების მიმდინარე პროცესების შეფასებაში ალბათური მეთოდის გამოყენება. ეს მეთოდი საშუალებას გვაძლევს რისკის ინდექსის საშუალებით ანალიზი ჩავუტაროთ სხვადასხვა ოპერატიული პროცესების სცენარებს [53,54,55,58].

ჩატარებული კალევების [51,52,53,54,55,58] ანალიზი ცხადყოფს, რომ ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ოპერატიული რეზერვის ალბათური გზით დადგენის დროს გამოყენებულია მხოლოდ მაგენერირებელი სიმძლავრეების ავარიული გამორთვების სტატისტიკა და ელექტრული სისტემისთვის მისაღები რისკის დონე გარკვეული დროის მონაკვეთში (დღე-დამე) მიღებულია მუდმივ სიდიდე. აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლოა გამოიწვიოს ოპერატიული რეზერვის საკმარისზე მეტი ან ნაკლები სიდიდით განსაზღვრა, რაც საბოლოო ჯამში აისახება ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედოობის და უსაფრთხოების დონის დაწევის ან ეკონომიკურად გაუმართლებელი სიმძლავრის რეზერვის სიდიდის დადგენაში.

მსოფლიოს სხვადასხვა ენერგოკომპანიების მუშაობის და აღნიშნული მიმართულებით ჩატარებული კალევების [61,62,63,64,65,66,67] ანალიზით ირკვევა, რომ ელექტროენერგეტიკულ სისტემებში რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის უზრუნველსაყოფად მრავალი პრობლემაა გადასაჭრელი. როგორც წესი, ენერგეტიკულ სისტემებში არ არის შემუშავებული რემონტების დაგეგმვის სტრატეგია. სისტემური ხასიათი არ აქვს მიცემული ავარიული გამორთვების ანალიზს, რემონტების დაგეგმვა ხორციელდება ძირითადად ტექნიკური მიზნების მიხედვით, სათანადო ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. რემონტების

პრევენციული დაგეგმვა წარმოებს ოპტიმიზაციის ტრადიციული პრინციპებით, რემონტის ოპტიმალურობაზე მოქმედი ფაქტორების შეფასების გარეშე. რაც მთავარია პრობლემის გადაწყვეტას არ აქვს მიცემული კომპლექსური ხასიათი. აღნიშნულიდან გამომდინარე ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა უნდა განხორციელდეს დრმა მეცნიერული კვლევის შედეგების მიხედვით, რისთვისაც პირველ რიგში ელექტროენერგეტიკულ სისტემაში შემავალი ელექტრული სადგურების, ელექტროგადაცემის ხაზების ელექტრომოწყობილობების და დანადგარების ტექნიკური მდგომარეობა უნდა შეფასდეს კომპლექსურად. უნდა ეფუძნებოდეს მთლიანად სისტემის საიმედოობის მახასიათებლებს და ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პრევენციული რემონტების ჩატარების ოპტიმალური ხანგრძლივობის განსაზღვრის მეთოდიკას. რაც მთავარია ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო მუშაობის უზრუნველყოფაში გამოიკვეთოს რემონტების პრევენციული დაგეგმვის როლი და რემონტების ოპტიმიზაციის ამოცანა უნდა გადაიჭრას მასზე მოქმედი კველა შესაძლო ფაქტორის გათვალისწინებით.

როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზი გვიჩვენებს, მიუხედავად თეორიული ხასიათის შრომებისა, ამჟამად მოქმედი ალგორითმები და პროგრამები სრულად ვერ აკმაყოფილებენ ელექტროენერგიის მოკლევადიანი მოხმარების პროგნოზირების, აქტიური სიმძლავრის ოპერატორიული რეზერვის, პრევენციული რემონტების დაგეგმვის და მთლიანობაში ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის რეჟიმების ოპტიმალური მართვისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. ისინი არ ატარებენ კომპლექსურ ხასიათს, მათში არ არის გათვალისწინებული კველა ის ტექნიკურ-ეკონომიკური კრიტერიუმი და შეზღუდვა, რაც წაეყენება საბაზრო ეკონომიკის პირობებში ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმალურ მართვას.

აღნიშნულიდან გამომდინარე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიის

მოკლევადიანი მოხმარების პროგნოზირების, აქტიური სიმძლავრის ოპერატორი რეზერვის დაგეგმვის, პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის და ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციის პრობლემების ისეთი სახით გადაწყვეტა, რომ მასში მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს ყველა ის შესაძლო ფაქტორი და შეზღუდვა, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სისტემის მუშაობის ეფექტიანობას.

1. შედეგები და მათი განსჯა

თავი I. ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირება

1.1 ამოცანის დასმა და პრობლემის გადაწყვეტის მეთოდოლოგია

ცნობილია, რომ ბიზნეს-ინჟინერინგის ქვაკუთხედს მართვისადმი პროცესული მიღებობა წარმოადგენს [68]. ამ თვალსაზრისით ნებისმიერი ორგანიზაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც პროცესების ნაკრები. პროცესის ოპტიმალურად მართვას მივყავართ დასახული მიზნის მიღწევისკენ და პროცესის მიზანი წარმოჩინდება როგორც ეფექტურობის კრიტერიუმი.

ენერგოსისტემის ფუნქციონირებისადმი პროცესული მიღებობა მოითხოვს მართვის ტრადიციულ მეთოდებზე უარის თქმას, მის სერიოზულ გააზრებას. აქ წინა პლანზე დგება მისი რეჟიმების ოპერატორიული მართვის, მოკლევადიან პერიოდი მუშაობის სრულყოფილად დაგეგმვის, ელექტროსადგურებსა და ელექტრულ ქსელებს შორის დატვირთვების ოპტიმალური განაწილების და ელექტროენერგიის მოთხოვნის დაკვეთილი სიდიდიდან მინიმალური გადახრის უზრუნველყოფა. საგულისხმოა, რომ დაკვეთილი სიდიდიდან ელექტროენერგიის ფაქტიური მოხმარების განსაზღრულ პროცენტზე მეტად გადახრა განაპირობებს მაბალანსირებელი ბაზრიდან ელექტროენერგიის შესყიდვას გაზრდილი ფასებით. ნაკლები მხრისკენ გადახრა ისჯება დამატებითი გადასახადით მიუწოდებელი ელექტროენერგიისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე ბიზნეს-ინჟინერინგის პრინციპების საფუძველზე, ოპტიმალური პროცესული მართვის განხორციელებისათვის აუცილებელია მოკლევადიან პერიოდში (საათი, დღე-დამე) ელექტროენერგიის მოხმარების მაღალი სიზუსტით პროგნოზირება.

ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზის მაღალი სიზუსტე საშუალებას იძლევა შევამციროთ ელექტრობაზრის სუბიექტების ფინანსური დანაკარგები. ამ ამოცანის გადაწყვეტა განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა საქართველოსთვის, რადგანაც ქვეყნის ენერგოსისტემაში და ელექტროენერგეტიკული ბაზრის სუბიექტების მნიშვნელოვან ნაწილს არ გააჩნიათ საკუთარი სიმძლავრეები და არ შეუძლიათ გავლენა იქონიონ მოხმარებლების დატვირთვებზე.

ლიტერატურის მიმოხილვის ანალიზის საფუძველზე ელექტროენერგიის მოკლევადიანი მოხმარების პროგნოზირებისთვის შერჩეულ იქნა ხელოვნური ნეირონული ქსელების მეთოდი [40,41,43,47,48,49,50].

ხელოვნური ნეირონული ქსელები წარმოადგენენ ანალიტიკურ სისტემებს, სადაც დასმული ამოცანები არასაკმარისად მკაფიოდ არის ფორმულირებული. ფორმულირების არასაკმარისი სიზუსტე შეიძლება ხელოვნური ნეიორნული ქსელის უნარით თვითსწავლების უნარზე მონაცემებში იპოვოს დაფარული და გაუგებარი კავშირები. ხელოვნური ნეირონული ქსელის მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს უნარი გარე გარემოს ცვლილებებზე დამიკიდებულებით შეიცვალოს თავისი ქცევა და ცოდნა.

ელექტროენერგიის მოხმარების პროგნოზირებისათვის ნეირონული ქსელის ასაგებად აუცილებელია მათზე მოქმედი ფაქტორების გათვალისწინება. ფაქტორების დასადგენად ჩატარებულ იქნა კორელაციური ანალიზი. კორელაციური მატრიცის შესადგენად [47,69] გამოთვლილია შერჩევითი საშუალოები:

$$\bar{\xi}_j = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n x_j \quad (1) \quad \bar{y}_j = \frac{1}{n} \sum_{i=1}^n y_i \quad (2) \quad \text{და} \quad \text{შერჩევითი} \quad \text{საშუალო}$$

$$\text{კვადრატული} \quad \text{გადახრები:} \quad s_{\xi_j}^2 = \sum_{i=1}^n \bar{\xi}_j^2 - \frac{n}{i} (\bar{\xi})^2 \quad (3) \quad \text{და} \quad s_{\bar{y}_j}^2 = \sum_{i=1}^n \bar{y}_j^2 - \frac{n}{i} (\bar{y})^2 \quad (4)$$

კორელაციის შერჩევითი კოეფიციენტი ტოლია:

$$\rho_j = \frac{\sum_{i=1}^n x_j \cdot y - n \cdot \bar{x}_j \cdot \bar{y}_j}{n \cdot s_{\xi_j} \cdot s_{\tau_j}} \quad (5) \quad \text{სადაც, } j - \text{ფაქტორის } \text{ნომერი, } i - \text{წელი, } n -$$

წლების რაოდენობა.

საწყისი ინფორმაციის სახით ანალიზისა და ექსპერტული შეფასების საფუძველზე ელექტროენერგიის მოხმარებასთან კავშირის დასადგენად განხილულია 16 საწყისი ფაქტორი. მათ შორის, პარის მინიმალური და მაქსიმალური ტემპერატურა, ქარის სიჩქარე, ნალექები, დღის ხანგრძლივობა, სადღესასწაულო და უქმე დღეებში ელექტროენერგიის მოხმარება, საპროგნოზო პერიოდში დამატებით მიერთებული მომხარებლების რაოდენობა, ბუნებრივი გაზის მოხმარება.

კორელაციური ანალიზის ჩასატარებლად საჭირო საწყისი ინფორმაცია მოცემულია №2 ცხრილში:

ცხრილი №2 ელექტროენერგიის მოკლევადიან მოხმარებაზე
მოქმედი ფაქტორები

№	ფაქტორი	აღნიშვნა	შენიშვნა
1	1 დღის წინ არსებული მოხმარება	X ₁	მლნ. კვტ. სთ
2	2 დღის წინ არსებული მოხმარება	X ₂	მლნ. კვტ. სთ
3	3 დღის წინ არსებული მოხმარება	X ₃	მლნ. კვტ. სთ
4	4 დღის წინ არსებული მოხმარება	X ₄	მლნ. კვტ. სთ
5	5 დღის წინ არსებული მოხმარება	X ₅	მლნ. კვტ. სთ
6	6 დღის წინ არსებული მოხმარება	X ₆	მლნ. კვტ. სთ
7	7 დღის წინ არსებული მოხმარება	X ₇	მლნ. კვტ. სთ
8	დღე	X ₈	დღის ნომერი (1,2,3,...,7)
9	14 დღის წინ არსებული მოხმარება	X ₉	მლნ. კვტ. სთ
10	მინიმალური ტემპერატურა	X ₁₀	გრადუსი
11	მაქსიმალური ტემპერატურა	X ₁₁	გრადუსი
12	დღის განმავლობაში ქარის საშუალო სიჩქარე	X ₁₂	კუბური მეტრი წამში
13	დღის განმავლობაში ნალექების საშუალო რაოდენობა	X ₁₃	მმ
14	დღის ხანგრძლივობა	X ₁₄	სთ და წუთი
15	დღესასწაული	X ₁₅	(0 ან 1)
16	დამატებით მიერთებულ მომხარებელთა	X ₁₆	რაოდენობა/

	რაოდენობა/სიმძლავრე		მგვტ
17	ელექტროენერგიის დღის მოთხოვნა საპროგნოზო პერიოდში	Y	მლნ. კვტ. სთ

კორელაციური ანალიზის მიღებული მნიშვნელობების საფუძველზე განხორციელებულია ელექტროენერგიის მოკლევადიან მოხმარებაზე მოქმედი საბოლოო ფაქტორების ფორმირება, კერძოდ ნაკლებად კორელირებადი ფაქტორი ამოღებულ იქნება მოდელიდან.

სელოგნური ნეირონული ქსელების მეშვეობით ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზის განსახორციელებლად აუცილებელია შემავალი და გამომავალი ფაქტორების ერთმანეთთან დაკავშირება. შემავალი და გამომავალი ფაქტორები ერთმანეთს უკავშირდებიან $F(k)$ აქტივაციის ფუნქციით [40,41,43,47,48,49,50].

სიგნალის გადაცემის მექანიზმის გასაგებად განხილულია ნეირონი, რომელშიც შემოდის (w_1, w_2, \dots, w_k) (6) წახნაგის გავლით სიგნალები (x_1, x_2, \dots, x_k) (7). ჯამური შეწონილი სიგნალი ტოლია:

$$net = \sum_{i=1}^k w_i x_i. \quad (8)$$

გამომავალი სიგნალი ნეირონზე იანგარიშება როგორც

$$output = f(net). \quad (9)$$

სადაც, $F(net)$ ფუნქციას ეწოდება შემომსაზღვრელი ან აქტივაციის ფუნქცია.

მსოფლიო პრაქტიკაში [40,41,43,47,48,49,50] გავრცელებულია $F(k)$ აქტივაციის შემდეგი ფუნქციები: ლოგისტიკურ-სიგმოიდური, ზღვრული, ჰიპერბოლურ-ტანგენსური, ნულოვანი ლოგისტიკურ-სიგმოიდური, ბიპოლარულ-სიგმოიდური.

აქტივაციის ფუნქციის სახის შესარჩევად ჩატარდა ექსპერიმენტალური კვლევა. ჩამოთვლილი ფუნქციებიდან ოპტიმალურის შერჩევას საფუძვლად დაედო საშუალო კვადრატული შეცდომის მინიმუმის

კრიტერიუმი [40,41,43,47,48,49,50]. საშუალო კვადრატული შეცდომა გამოთვლილია შემდეგი ფორმულით:


$$J(n) = \frac{1}{2} \sum_k e_k^2(n) \quad (10) \quad \text{სადაც, } e_k(n) = y_k(n) - d_k(n) \quad (11)$$

$d_k(n)$ – ფაქტიური მნიშვნელობა k ნეირონის n დროს, $Y_k(n)$ – მოდელით მიღებული მნიშვნელობა k ნეირონის n დროს.

ნეირონული ქსელის შემდგომი ოპტიმიზაცია ხდება $Y_k(n)$ მნიშვნელობის მინიმიზაციით ფაქტორების სხვადასხვა წონების გათვალისწინებით. მათი წონების ცვალებადობის ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$\Delta w_{kj} = \eta e_k(n)x_j(n) \quad (12)$$

აღნიშნული კრიტერიუმით შემუშავებულია ფაქტიური და მოდელით განსაზღვრულ გამომავალ ფაქტორებს შორის მინიმიზაციისათვის შეცდომების გასწორების ალგორითმი, რომელსაც აქვს ნახაზი. №1-ზე მოცემული სახე:



ნახაზი. №1 შეცდომების გასწორების ალგორითმი

ხელოვნური ნეირონული ქსელის სტრუქტურების ანალიზის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირებისათვის უმჯობესია გამოყენებული იქნება

ხელოვნური ნეირონული ქსელის კონფიგურაცია პირდაპირი გავრცელების (აერცეპტონები) შეცდომის უკუ გავრცელების მეთოდით სწავლება. ხელოვნური ნეირონული ქსელის სტრუქტურის შერჩევის დროს გათვალისწინებული იქნა დაფარული შრეების და ამ შრეებში ნეირონების ისეთი რაოდენობა, რომლებიც სრულად აქმაყოფილებენ ელექტროენერგიის მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზის სიზუსტისადმი მოთხოვნას.

ზემოთ ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიის შესაბამისად შემუშავებულ იქნა ელექტროენერგეტიკულ სისტემის დატვირთვის კვანძების ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი (დღე-დამური/საათობრივი) პროგნოზირების ალგორითმი, რომელსაც აქვს ცხრილ №3-ში მოცემული სახე:

ცხრილი №3 ელექტროენერგეტიკული სისტემის დატვირთვის კვანძის ალექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირების ალგორითმი

	დასაწყისი
1	
2	ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არსებული i ($i=1,\dots,n$) დატვირთვის კვანძების სიის ფორმირება
3	i ($i=1,\dots,n$) დატვირთვის კვანძების ელექტროენერგიის დღე-დამური (საათობრივი) მოხმარების წარსული j ($j=1,\dots,m$) მონაცემების ფორმირება
4	i ($i=1,\dots,n$) დატვირთვის კვანძების ელექტროენერგიის მოხმარებაზე მოქმედი საწყისი X_i ($i=1,\dots,k$) ფაქტორების (ადგილმდებარეობის მიხედვით) ფორმირება
5	კორელაციური ანალიზის საფუძველზე i ($i=1,\dots,n$) დატვირთვის კვანძების ელექტროენერგიის მოხმარებაზე მოქმედი საბოლოო X_i ($i=1,\dots,k$) ფაქტორების ფორმირება
6	ექსპერიმენტალური კვლევის საფუძველზე i ($i=1,\dots,n$) დატვირთვის კვანძებისთვის აქტივაციის ფუნქციის და ნეირონების ფარული და არაფარული შრეების რაოდენობის შერჩევა
7	i ($i=1,\dots,n$) დატვირთვის კვანძების ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი (დღე-დამური/საათობრივი) მოდელების შერჩევა
8	შერჩეული მოდელის საფუძველზე i ($i=1,\dots,n$) დატვირთვის კვანძების ელექტროენერგიის მოკლევადიანი (საათობრივი/დღე-დამური) მოხმარების პროგნოზირება
9	დასასრული

1.2 ექსპერიმენტული ნაწილი

შემუშავებული მეთოდიკა აპრობირებულ იქნა სს “თელასი”-ს მაგალითზე. საწყისი ინფორმაციის სახით გამოყენებულია სს “თელასი”-ს მიერ 2011 წლის მარტის თვეში მოხმარებული ელექტროენერგიის მაჩვენებლები [70,71,72]. ელექტროენერგიის მოხმარებასთან კავშირის დასადგენად განხილულია ცხრილ №2-ში მოცემული საწყისი 16 ფაქტორი. კორელაციური ანალიზის ჩასატარებლად საჭირო საწყისი ინფორმაცია მოცემულია №4 ცხრილში:

ცხრილი №4 ელექტროენერგიის მოკლევადიან მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორების მნიშვნელობები

Nº	X1	X2	X3	X4	X5	X6	X7	X8	X9	X10
1	7,5	7,215	7,493	7,54	7,946	8,09	8,001	2	8,193	-1
2	7,614	7,5	7,215	7,493	7,54	7,946	8,09	3	7,985	-2
3	7,214	7,614	7,5	7,215	7,493	7,54	7,946	4	7,499	2
4	7,001	7,214	7,614	7,5	7,215	7,493	7,54	5	8,201	5
5	6,567	7,001	7,214	7,614	7,5	7,215	7,493	6	7,808	8
6	6,488	6,567	7,001	7,214	7,614	7,5	7,215	7	7,43	7
7	6,093	6,488	6,567	7,001	7,214	7,614	7,5	1	7,756	6
8	6,977	6,093	6,488	6,567	7,001	7,214	7,614	2	8,001	5
9	6,933	6,977	6,093	6,488	6,567	7,001	7,214	3	8,09	3
10	7,023	6,933	6,977	6,093	6,488	6,567	7,001	4	7,946	3
11	7,359	7,023	6,933	6,977	6,093	6,488	6,567	5	7,54	3
12	7,338	7,359	7,023	6,933	6,977	6,093	6,488	6	7,493	3
13	6,584	7,338	7,359	7,023	6,933	6,977	6,093	7	7,215	2
14	6,144	6,584	7,338	7,359	7,023	6,933	6,977	1	7,5	6
15	6,269	6,144	6,584	7,338	7,359	7,023	6,933	2	7,614	6
16	6,122	6,269	6,144	6,584	7,338	7,359	7,023	3	7,214	5
17	5,887	6,122	6,269	6,144	6,584	7,338	7,359	4	7,001	6

გაგრძელება:

Nº	X11	X12	X13	X14	X15	X16	Y
1	9	13,6	0	11:03	0	3832/119	7,614
2	16	18,2	0	11:06	0	0	7,214
3	18,4	24,5	0	11:12	0	0	7,001
4	19	16,4	0	11:15	0	0	6,567
5	14,2	23,6	0	11:16	0	0	6,488
6	21	26,6	0	11:19	0	0	6,093
7	10,2	19	0,8	11:22	0	0	6,977

8	12,5	44,9	1	11:23	0	0	6,933
9	9	36,4	0	11:26	0	0	7,023
10	10	54,4	0	11:30	0	0	7,359
11	10,4	48,9	0	11:33	0	0	7,338
12	15,5	35,1	0	11:34	0	0	6,584
13	22	22,2	0	11:37	0	0	6,144
14	22	25,3	0	11:40	0	0	6,269
15	20,8	21,7	0	11:44	0	0	6,122
16	22	24,5	0	11:47	0	0	5,887
17	23	22	0	11:50	0	0	5,857

კორელაციური ანალიზის შედეგები ასახულია №5 ცხრილში:

ცხრილი №5 კორელაციური ანალიზის შედეგები

ფაქტორი	X1	X2	X3	X4	X5	X6	X7	X8	X9	X10	X11
მოხმარება	0,64	0,17	-0,17	-0,24	-0,13	0,18	0,44	-0,49	0,59	-0,66	-0,87

გაგრძელება:

ფაქტორი	X12	X13	X14	X15	X16
მოხმარება	-0,61	-0,82	0,26	0,11	0,43

კორელაციური ანალიზის ცხადყოფს, რომ ყველა შერჩეულ ფაქტორს გააჩნია საკმარისად დიდი კორელაცია ელექტროენერგიის მოხმარებასთან მიმართებაში. შესაბამისად ცხრილ №2-ში მოცემული თექვსმეტივე ფაქტორი ჩართულია მოკლევადიანი მომხარების პროგნოზირების მოდელში.

ზემოთ ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიის და ცხრილი №4-ის მონაცემების საფუძველზე პროგრამული პაკეტის PredictorXL მეშვეობით, სხვადასხვა აქტივაციის ფუნქციის, ნეირონების არაფარული და ფარული შრეების სხვადასხვა რაოდენობების მიხედვით ექსპრიმენტით დადგენილ იქნა ქ. თბილისში ელექტროენერგიის მოთხოვნის მოკლევადიანი პროგნოზირების (დღიური) ოპტიმალური მოდელი. ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ქ. თბილისის ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზის ყველაზე დიდი სიზუსტით განხორციელება შესაძლებელია,


ნეირონების ფარული შრეების – 2 და აქტივაციის ლოგისტიკურ-სიგმოიდური ფუნქციით.

$$\text{ამ ფუნქცია აქვს შემდეგი სახე: } f(x, a) = \frac{e^{a_i + b_i x_i}}{1 + e^{a_i + b_i x_i}} \quad (13)$$

სადაც, X – ელექტროენერგიის მოხმარებაზე მოქმედი X_i ფაქტორია;

a_i და b_i – რეგრესიის კოეფიციენტებია;

ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე ქ. თბილისში ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი (დღიური) პროგნოზირების ხელოვნური ნეირონული ქსელების მოდელს აქვს შემდეგი ნახაზი. №2-ში მოყვანილი სახე:



ნახაზი. №2 ქ. თბილისის ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი (დღიური) პროგნოზირების მოდელი

ნახაზი. №2-ებ მოცემული ხელოვნური ნეირონული ქსელის მოდელის და №4 ცხრილში მოყვანილი მონაცემების საფუძველზე გაკეთებულია მომავალი პერიოდის (1 დღე) მოკლევადიანი პროგნოზი: (იხ. ცხრილი №6, №7 და ნახაზი. №3):

პარალელურად მრავალფაქტორული მოდელის მეშვეობით გაკეთდა მომავალი 3 დღის პროგნოზირება [69]. მრავალფაქტორული მოდელის შესადგენი და მისი კოეფიციენტების გამოსათვლელი განტოლებათა სისტემა მიიღებს სახეს:

$$\begin{aligned}
& 7,5x_1 + 7,215x_2 + 7,493x_3 + 7,54x_4 + 7,946x_5 + 8,09x_6 + 8,001x_7 + 2x_8 + 8,193x_9 - \\
& - x_{10} + 9x_{11} + 13,6x_{12} + 11,3x_{14} + 119x_{16} = 7,614 \\
& 7,614x_1 + 7,5x_2 + 7,215x_3 + 7,493x_4 + 7,54x_5 + 7,946x_6 + 8,09x_7 + 8,09x_7 + 3x_8 + \\
& + 7,985x_9 - 2x_{10} + 16x_{11} + 18,2x_{12} + 11,06x_{14} = 7,214 \\
& 7,214x_1 + 7,614x_2 + 7,5x_3 + 7,215x_4 + 7,493x_5 + 7,54x_6 + 7,946x_7 + 4x_8 + 7,499x_9 + \\
& + 2x_{10} + 18,4x_{11} + 24,5x_{12} + 11,12x_{14} = 7,001 \\
& 7,001x_1 + 7,214x_2 + 7,614x_3 + 7,5x_4 + 7,215x_5 + 7,493x_6 + 7,54x_7 + 5x_8 + 8,201x_9 + \\
& + 5x_{10} + 19x_{11} + 16,4x_{12} + 11,15x_{14} = 6,567 \\
& 6,567x_1 + 7,001x_2 + 7,214x_3 + 7,614x_4 + 7,5x_5 + 7,215x_6 + 7,493x_7 + 6x_8 + 7,808x_9 + \\
& + 8x_{10} + 14,2x_{11} + 23,6x_{12} + 11,16x_{14} = 6,488 \tag{14} \\
& 6,488x_1 + 6,567x_2 + 7,001x_3 + 7,214x_4 + 7,614x_5 + 7,5x_6 + 7,215x_7 + 7x_8 + 7,43x_9 + \\
& + 7x_{10} + 21x_{11} + 26,6x_{12} + 11,19x_{14} = 6,093 \\
& 6,093x_1 + 6,488x_2 + 6,567x_3 + 7,001x_4 + 7,214x_5 + 7,614x_6 + 7,5x_7 + x_8 + 7,756x_9 + \\
& + 6x_{10} + 10,2x_{11} + 19x_{12} + 0,8x_{13} + 11,22x_{14} = 6,977 \\
& 6,977x_1 + 6,093x_2 + 6,488x_3 + 6,5671x_4 + 7,001x_5 + 7,214x_6 + 7,614x_7 + 2x_8 + 8,001x_9 + \\
& + 5x_{10} + 12,5x_{11} + 44,9x_{12} + x_{13} + 11,23x_{14} = 6,933 \\
& 6,977x_1 + 6,093x_2 + 6,488x_3 + 6,5671x_4 + 7,001x_5 + 7,214x_6 + 7,614x_7 + 2x_8 + 8,001x_9 + \\
& + 5x_{10} + 12,5x_{11} + 44,9x_{12} + x_{13} + 11,23x_{14} = 6,933 \\
& 6,933x_1 + 6,977x_2 + 6,093x_3 + 6,488x_4 + 6,5671x_5 + 7,001x_6 + 7,214x_7 + 3x_8 + 8,09x_9 + \\
& + 3x_{10} + 9x_{11} + 36,4x_{12} + 11,26x_{14} = 7,023 \\
& 7,023x_1 + 6,933x_2 + 6,977x_3 + 6,093x_4 + 6,488x_5 + 6,5671x_6 + 7,001x_7 + 4x_8 + 67,946x_9 + \\
& + 3x_{10} + 10x_{11} + 54,4x_{12} + 11,3x_{14} = 7,359 \\
& 7,359x_1 + 7,023x_2 + 6,933x_3 + 6,977x_4 + 6,093x_5 + 6,488x_6 + 6,5671x_7 + 5x_8 + 7,54x_9 + \\
& + 3x_{10} + 10,4x_{11} + 48,9x_{12} + 11,33x_{14} = 7,338 \\
& 7,338x_1 + 7,359x_2 + 7,023x_3 + 6,933x_4 + 6,977x_5 + 6,093x_6 + 6,488x_7 + 6x_8 + 7,493x_9 + \\
& + 3x_{10} + 15,5x_{11} + 35,1x_{12} + 11,34x_{14} = 6,584 \\
& 6,584x_1 + 7,338x_2 + 7,359x_3 + 7,023x_4 + 6,933x_5 + 6,977x_6 + 6,093x_7 + 7x_8 + 7,215x_9 + \\
& + 2x_{10} + 22x_{11} + 22,2x_{12} + 11,37x_{14} = 6,144 \\
& 6,144x_1 + 6,584x_2 + 7,338x_3 + 7,359x_4 + 7,023x_5 + 6,933x_6 + 6,977x_7 + x_8 + 7,5x_9 + \\
& + 6x_{10} + 22x_{11} + 25,3x_{12} + 11,4x_{14} = 6,269
\end{aligned}$$

მრავალფაქტორიან მოდელს ძებნ შემდეგი სახე:

$$\begin{aligned}
y &= 0.846928x_1 + 0.542948x_3 - 0.38486x_4 + 0.12242x_5 + \\
& + 0.72379x_6 - 0.45708x_7 - 0.15163x_8 - 0.41705x_9 + \\
& + 0.066227x_{10} - 0.09715x_{11} + 0.002387x_{12} - 0.33725x_{13} - \tag{15} \\
& - 0.0053x_{16} + 2.183897
\end{aligned}$$


მოდელის ადეპვატურობის შემოწმებისათვის საპროგნოზო
მოდელში არ იქნა ჩართული ბოლო 1 დღის მაჩვენებელი და ჩატარდა
შედარებითი ანალიზი მრავალფაქტორიანი მოდელის შედეგებთან.

ცხრილი №6 ფაქტიური პერიოდის საპროგნოზო მაჩვენებლები და
პროცენტული გადახრა

№	ქ. თბილისის 2011 წ. მარტის თვის ელექტროენერგიის მოხმარება (ფაქტიური)	მოხმარება (პროგნოზი)	პროცენტული გადახრა, %
		მოდელის სტრუქტურა: 16-9-1	
		ნულოვანი ლოგარითმული- სიგმოიდური ფუნქცია	
		11500 იტერაცია	
1	7,614	7,605	0,018
2	7,214	7,228	0,022
3	7,001	6,994	-0,034
4	6,567	6,559	-0,015
5	6,488	6,506	-0,104
6	6,093	6,055	0,619
7	6,977	6,978	0,044
8	6,933	6,933	-0,072
9	7,023	7,017	-0,042
10	7,359	7,365	0,011
11	7,338	7,335	0,025
12	6,584	6,581	0,016
13	6,144	6,152	-0,232
14	6,269	6,270	-0,008

ცხრილი №7 საპროგნოზო პერიოდის (სამი დღის) პროგნოზი და პროცენტული
გადახრა სხვადასხვა მეთოდთან შედარებით

№	ქ. თბილისის 2011 წ. მარტის თვის ელექტრო ენერგიის მოხმარება (ფაქტიური)	მოხმარების (პროგნოზი)	პროცენტული გადახრა %		
		მოდელის სტრუქტურა: 16-2-1			
		ნულოვანი ლოგარითმული- სიგმოიდური ფუნქცია			
1	6,122	6,14	6,001	0,29	2



ნახაზი №3 ქ. თბილისის ელ.ენერგიის მოხმარების 2011 წლის მარტის თვის
უოველდღიური ფაქტიური და საპროგნოზო მაჩვენებლები
(ხელოვნური ნეირონული ქსელის მოდელით მიღებული)

ცხრილ №7-ში მიღებული შედეგები ცხადყოფს ნეირონული ქსელის უპირატესობას მრავალფაქტორიან მოდელთან შედარებით, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მასაც საკმაო სიზუსტით შეუძლია მოკლევადიანი პროგნოზის გაკეთება.

I თავის დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე გაკეთებულია შემდეგი დასკვნები:

1. კორელაციური ანალიზის საფუძველზე დადგენილია ელექტროენერგიის მოკლევადიან მოხმარებაზე მოქმედი ფაქტორები;
2. დამუშავდა ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირების მეთოდიკა და შესაბამისი ალგორითმი;
3. შემუშავებული მეთოდიკა აპრობირებულ იქნა ქ. თბილისის მაგალითზე. ქ. თბილისში ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი

პროგნოზირებისათვის შეირჩა ხელოვნური ნეირონული ქსელის სტრუქტურა და კონფიგურაცია, აქტივაციის ფუნქცია და შემუშავდა ელექტროენერგიის მოხმარების პროგნოზირების ოპტიმალური მოდელი. მიღებული შედეგი ცხადყოფს შემუშავებული მეთოდის უპირატესობას სხვა მეთოდებთან შედარებით.

4. ელექტროენერგიის მოხმარების მოკლევადიანი პროგნოზირების შემუშავებული ოპტიმალური მეთოდიკა და ალგორითმი ატარებს უნივერსალურ ხასიათს. აღნიშნული მეთოდიკით შესაძლებელია ნებისმიერი ქალაქის, რაიონის და მთელი ქვეყნის ელექტროენერგიის მოხმარების (საათობრივი/დღე-დამური) მოკლევადიანი პროგნოზის მაღალი სიზუსტით შესრულება. პროგნოზირების მიღებული მოდელი და ალგორითმი საშუალებას იძლევა განხორციელდეს ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპტიმალური ოპერატიული მართვა, მოკლევადიან პერიოდში მუშაობის სრულყოფილი დაგეგმვა, რეჟიმების სათანადო სიზუსტით გაანგარიშება, ელექტროსადგურებსა და ელექტრულ ქსელებს შორის დატვირთვების ოპტიმალური განაწილება, ელექტროენერგიის მოხმოვნის დაკვეთილ სიდიდიდან მინიმალური გადახრის უზრუნველყოფა.

თავი II. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში განუსაზღვრელობის პირობებში აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური დაგეგმვა

2.1 ამოცანის დასმა და პრობლემის გადაწყვეტის მეთოდოლოგია

ელექტროენერგეტიკულ სისტემებში მაგენენირებელი სიმძლავრეების რეზერვირება წარმოადგენს სისტემის ფუნქციონირების საიმედოობის ამაღლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის აუცილებელი სიდიდის, ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნების და მობილურობის შექმნა რთული საანგარიშო და საექსპლუატაციო ამოცანაა. ამ ამოცანის ეფექტურად გადაწყვეტა ელექტროენერგეტიკულ სისტემას საშუალებას აძლევს დროულად მოახდინოს აქტიური სიმძლავრის დაუბალანსებლობის კომპენსაცია და განახაზიორციელოს თავისი ძირითადი ფუნქცია, სათანადო ხარისხის ელექტროენერგიით მომხმარებლების უწყვეტი მომარაგება.

მუშაობის ნორმალური და ავარიული რეჟიმების რეალიზაციის პირობებში ქვეყნის ელექტროენერგეტიკული სისტემისათვის სიმძლავრის რეზერვირების სირთულე და პრობლემის აქტუალობა განპირობებულია ელექტროსადგურების და ქსელების ძირითადი მოწყობილობების სიძველით, სათბობის ბალანსის სტრუქტურის არახელსაყრელი ცვლილებით და მისი შესრულების სირთულით, სიმძლავრის რეზერვირების ნორმატიული და მარეგლამენტირებელი დოკუმენტების არასრულყოფილებით.

წარმოდგენილ ნაშრომში შემოთავაზებულია ოპერატიული რეზერვის სიდიდის განსაზღვრის ახალი მეთოდიკა, რაც ეფუძნება მაგენენირებელი სიმძლავრეების ავარიული გამორთვების სტატისტიკის და ელექტროენერგეტიკული სისტემისთვის დროის გარკვეულ მონაკვეთში (საათი) საიმედოობის სხვადასხვა დონის მაჩვენებლებს. ჩატარებული

კვლევებით დადგენილია, რომ ელექტროენერგეტიკული სისტემისთვის დროის გარკვეულ მონაკვეთში (საათი) მისაღები რისკის დონის განსაზღვრა დამოკიდებულია დატვირთვის კვანძების იმ პერიოდში არსებული დატვირთვების სიდიდეებსა და საიმედოობის დონეზე.

ელექტროენერგეტიკულ სისტემაში შესაძლო შემფოთებების სხვადასხვა სცენარების საფუძველზე მაგნიტორეზელი წყაროების აქტიური სიმძლავრის მოცდენის შეფასებისათვის გამოყენებულია ზოგად ალბათურ-ვარიანტული ალგორითმი [53,54,55,58], რომელიც მოცემულია ცხრილ №8-ში:

ცხრილი №8 აქტიური სიმძლავრის მოცდენის შეფასების ზოგადი ალბათურ-ვარიანტული ალგორითმი

სკენარიо №	გენერატორი			$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (16)	$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (17)	$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (18)	P_{1max}	P_{2max}	$P_{r3} = (1 - ORR_1) * ORR_2 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ (21)	$P_{r1} = \sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ (20)	$P_{r2} = ORR_3 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ * $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (22)	$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (23)	$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (24)
	1	2	n										
1	1	1	1	$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (16) <td>$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (17)</td> <td>$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (18)</td> <td>0</td> <td>P_{1max}</td> <td>$P_{r3} = (1 - ORR_1) * ORR_2 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ (21)</td> <td>$P_{r1} = \sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ (20)</td> <td>$P_{r2} = ORR_3 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ * $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (22)</td> <td>$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (23)</td> <td>$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (24)</td>	$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (17)	$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (18)	0	P_{1max}	$P_{r3} = (1 - ORR_1) * ORR_2 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ (21)	$P_{r1} = \sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ (20)	$P_{r2} = ORR_3 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ * $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (22)	$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (23)	$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (24)
2	1	1	0	$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (16) <td>$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (17)</td> <td>$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (18)</td> <td>P_{2max}</td> <td>P_{2max}</td> <td>$P_{r3} = (1 - ORR_1) * ORR_2 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ (21)</td> <td>$P_{r1} = \sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ (20)</td> <td>$P_{r2} = ORR_3 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ * $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (22)</td> <td>$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (23)</td> <td>$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (24)</td>	$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (17)	$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (18)	P_{2max}	P_{2max}	$P_{r3} = (1 - ORR_1) * ORR_2 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ (21)	$P_{r1} = \sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ (20)	$P_{r2} = ORR_3 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ * $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (22)	$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (23)	$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (24)
3	1	0	1	$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (16) <td>$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (17)</td> <td>$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (18)</td> <td>P_{2max}</td> <td>P_{2max}</td> <td>$P_{r3} = (1 - ORR_1) * ORR_2 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ (21)</td> <td>$P_{r1} = \sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ (20)</td> <td>$P_{r2} = ORR_3 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ * $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (22)</td> <td>$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (23)</td> <td>$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (24)</td>	$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (17)	$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (18)	P_{2max}	P_{2max}	$P_{r3} = (1 - ORR_1) * ORR_2 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ (21)	$P_{r1} = \sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ (20)	$P_{r2} = ORR_3 * \sum_{i=1}^2 (1 - ORR_i)$ * $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (22)	$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (23)	$\sum_{i=1}^n (1 - ORR_i)$ $\sum_{i=1}^2 (1 - ORR_3)$ (24)

4	0	1	1	$P_{1max} + P_{2max} + P_{nmax}$ (19)	P_{3max}	$P_{r4} = ORR_1 * \sum_{i=1}^3 (1 - ORR_i)$ (14)	$\sum_{i=4}^8 P_{ri}$ (25)
N

სადაც, P_{r1} , P_{r2} , , P_{rn} - ი სცენარის ინდივიდუალური ალბათობაა; $\sum_{i=2}^8 P_{r2}$, $\sum_{i=2}^8 P_{r3}$, ..., $\sum_{i=2}^8 P_{rn}$ ი სცენარის ჯამური ალბათობაა; ORR_i - ი გენერატორის მზადყოფნის კოეფიციენტი; P - ი სცენარის ხელმისაწვდომი სიმძლავრე; P_{nmax} - ი გენერატორის მაქსიმალური გამომუშავება.

შენიშვნა: 1 - აღნიშნულია გენერატორის ჩართული მდგომარეობა,

0 - აღნიშნულია გენერატორის გამორთული მდგომარეობა.

ვინაიდან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის სიდიდის ცვალებადობა შემთხვევითი ხასიათისაა და მიმდინარეობს განუსაზღვრელობის პირობებში, ელექტროენერგეტიკული სისტემისთვის დროის გარკვეულ მონაკვეთში (საათი) მისაღები Y_t საიმედოობის დონის სწორად განსაზღვრაში ყველა სხვა ცნობილ მეთოდებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება არამკაფიო ლოგიკის მეთოდს [57,58,73].

კვლევებმა გვიჩვენა, რომ ელ. სისტემისათვის დროის გარკვეულ მონაკვეთში (საათი) მისაღები Y_s საიმედოობა უნდა შეფასდეს ორდონიანი არამკაფიო ლოგიკის მოდელის მეშვეობით. ამ მოდელის შემუშავებისათვის საჭიროა ისეთი X_1 , X_2, \dots, X_n ფაქტორების შერჩევა რომლებიც უზრუნველყოფენ Y_s საიმედოობის დონის სრულყოფილ შეფასებას. ანალიზის საფუძველზე შერჩეულ იქნა ორი ფაქტორი: X_1 - თითოეული დატვირთვის კვანძის საათობრივი დატვირთვა და X_2 - თითოეული დატვირთვის კვანძის საიმედოობის დონე.

პირველ დონეზე განხორციელდა თითოეული დატვირთვის კვანძის Y_1, Y_2, \dots, Y_i მისაღები რისკის დონის შეფასება X_1 და X_2 ფაქტორების საფუძველზე. მეორე დონეზე მოხდა Y_1, Y_2, \dots, Y_i რისკის დონეების საფუძველზე საბოლოო Y_s რისკის დონის შეფასება. ექსპერტული შეფასების საფუძველზე შედგენილია X_1 და X_2 მახასიათებლების გავლენის მატრიცა Y_1, Y_2, \dots, Y_i და Y_s საიმედოობის დონეზე. შედეგები მოცემულია ცხრილ №9-სა და №10-ში.


ცხრილი №9 პირველი დონისათვის X_1 და X_2 ფაქტორების გავლენა Y_1, Y_2, \dots, Y_i სიდიდეებზე

ფაქტორი	X1	X2
	ზრდა	ზრდა
Y_1, Y_2, \dots, Y_i	იზრდება	იზრდება

ცხრილი №10 მეორე დონისათვის Y_1, Y_2, \dots, Y_i რისკის მახასიათებლების გავლენა Y_s სიდიდეზე

ფაქტორი	Y_1, Y_2, \dots, Y_i
	ზრდა
Y_s	იზრდება

i დატვირთვის კვანძისთვის $X_1, X_2, Y_1, Y_2, \dots, Y_i$ და Y_s რისკის დონის მახასიათებლების არამკაფიო სიმრავლეზე დასაყვანად გამოყენებულია სამკუთხედის წევრის ფუნქცია და ყოველსაათობრივი მაჩვენებლები დაყოფილია 32 ნაწილად, რომელსაც აქვს ნახაზი. №4 მოცემული ზოგადი სახე:



ნახაზი. №4 სამკუთხედის წევრის ზოგადი ფუნქცია

X_1, X_2 მახასიათებლების დამოკიდებულების Y_1, Y_2, \dots, Y_i -ზე და Y_1, Y_2, \dots, Y_i მახასიათებლების Y_s რისკის დონეზე შეფასების ფუნქციური დამოკიდებულება:

$$Y_1, Y_2, \dots, Y_i = \psi_1(X_1, X_2), \quad (26)$$

$$Y_s = \psi_2(Y_1, Y_2, \dots, Y_i) \quad (27)$$


სადაც, ψ_1 და ψ_2 პროცედურაა, რომელიც შეიცავს წესების ბაზას და აკაგშირებს $X_1, X_2, Y_1, Y_2, \dots, Y_i$ და Y_s მახასიათებლებს ერთმანეთთან.

X_1 და X_2 მახასიათებლების გავლენის მატრიცის საფუძველზე i რაოდენობის დატვირთვის კვანძისათვის n რაოდენობის ჩამოყალიბებული წესების მიხედვით დგინდება ყოველ X_1 და X_2 მახასიათებლის ცვალებადობის გავლენა Y_t -ს მნიშვნელობაზე და Y_1, Y_2, \dots, Y_i -ს ცვალებადობის გავლენა Y_s მახასიათებელზე. ამ პროცესის აღწერა მოცემულია ნახაზი. №5-ზე:

#	IF dat1	THEN	
		Dos	risk1fin
1	term1	1.00	term32
2	term2	1.00	term31
3	term3	1.00	term30
4	term4	1.00	term29
5	term5	1.00	term28
6	term6	1.00	term27
7	term7	1.00	term26
8	term8	1.00	term25

ნახაზი. №5 ჩამოყალიბებული წესების ზოგადი სტრუქტურა სადაც, $term_i = X_1, X_2, Y_1, Y_2, \dots, Y_i$ და Y_s მახასიათებლების i ინტერვალია; Dos - i ინტერვალის შესაბამისი წესის წონაა;

წარმოდგენილი შემსვლელი ინფორმაციის დამუშავებისა (ფაზიფიკაცია) და საბოლოო შედეგის (დეფაზიფიკაცია) მისაღებად სხვადასხვა დატვირთვის კვანძის გათვალისწინებით შემუშავდა არამკაფიო მოდელირების პროცესის მიმდინარეობის ინტერაქტიული ზოგადი ბლოკ-სქემა (ნახაზი. №6).



ნახაზი. №6 არამკაფიო მოდელირების ინტერაქტიული ზოგადი ბლოკ-სქემა

სადაც, dat_i – i კვანძის საათობრივი დატვირთვაა; $risk_i$ – i დატვირთვის კვანძის მოთხოვნილი საათობრივი რისკის დონეა; $RB_i(dat_i)$ – i კვანძის i დატვირთვის Y_i რისკის დონეზე გავლენის წესების მაჩვენებელი ბლოკია; $RB_i(risk_i)$ – i დატვირთვის კვანძის i რისკის დონის Y_i რისკის დონეზე გავლენის წესების მაჩვენებელი ბლოკია; Y_1, \dots, Y_i – i დატვირთვის კვანძის შეფასებული რისკის დონეა; Y_s - ელექტროენერგეტიკული სისტემის ყოველსაათობრივი მისაღები რისკის დონეა.

საბოლოო შედეგის მიღება (დეფაზიფიკაცია) განხორციელდა მინიმაქსის მეთოდის გამოყენებით [57,58,73].

ჩატარებული პლაგების შედეგებიდან გამომდინარე შემუშავებულია ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატორული რეზერვის ყოველსაათობრივი სიდიდის განმსაზღვრელი ალგორითმი, რომელიც ასახულია ცხრილ №11-ში:

ცხრილი №11 ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპერატორული რეზერვის ყოველსათობრივი სიდიდის განმსაზღვრელი ალგორითმი

1	დასაწყისი
2	სცენარი № 1, 2, 3, . . N ფორმირება
3	შესაბამისი არამკაფიო ლოგიკის მოდელის და ყოველსათობრივი t რისკის დონის ფორმირება
4	$\sum_{i=2}^8 P_{r2}$, $\sum_{i=3}^8 P_{r3}$, (21) $\sum_{i=4}^8 P_{r4}$, (22) $\sum_{i=4}^8 P_{rn}$ ჯამური ალბათობების და Y_t შედარება
5	$Y_t \leq \sum_{i=4}^8 P_{rn}$, (28) მაშინ $\sum_{i=4}^8 P_{rn}$ (25) ალბათობის შესაბამისი № 1, 2, 3, . . N სცენარის არჩევა
6	ამორჩეული N სცენარის შესაბამისი P ხელმისაწვდომი სიმძლავრის შერჩევა
7	t საათისთვის მინიმალურად საჭირო ოპერატორული რეზერვი $R_t = D_t - P$ (29)
8	არსებული რეზერვის $R_{a1}, R_{a2}, \dots, R_{an}$ ფორმირება ($R_{an} = D_t - \sum_{i=1}^n P_i$) (30)
9	თუ $R_{an} \geq R_t$, (31) მაშინ მაშინ სისტემას არ ესაჭიროება დამატებით ოპერატორული რეზერვი ოპტიმალური ოპერატორული რეზერვი: $R_O = R_{an}$; (32) თუ $R_{an} < R_t$, მაშინ მაშინ სისტემას ესაჭიროება დამატებით $R_f = R_t - R_{an}$ (33) ოპერატორული რეზერვი; ოპტიმალური ოპერატორული რეზერვი: $R_O = R_{an} + R_t^{-1}$ (34)
10	პროპორციის მეთოდის გამოყენებით [1] R_O ოპტიმალური ოპერატორული რეზერვის განაწილება პარალელურად მომუშავე მაგენენირებელ წყაროებზე
11	დასასრული

პარალელურად მომუშავე მაგენენირებელი წყაროების მიერ ელექტროენერგიის წარმოების და შესაბამისი ოპერატორული რეზერვის ელექტროგადაცემის ხაზებში ოპტიმალური განაწილების მიზნით ნიუტონ-რაფსონის მეთოდის გამოყენებით ყოველსათობრივად განხორციელებულია ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სიმძლავრეთა განაწილების სიმულაცია ნორმალური და ავარიული რეჟიმების დროს [1,74]. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არსებული ელექტროგადაცემის ხაზებში დროის გარკვეულ მონაკვეთში გამტარულნარობის არსებობის შემთხვევისთვის შემუშავდა ოპტიმიზაციის ზოგადი ფუნქცია შეზღუდვებით [1], რომელიც ახდენს ოპერატორული რეზერვის და სიმძლავრეთა ისეთ გადანაწილებას სისტემაში, რომ ნორმალური და

ავარიული რეჟიმების დროს არსებული გადატვირთული ელექტროგადაცემის ხაზი ან ხაზები განიტვირთება. მიზნის ფუნქციას შეზღუდვებით აქვს შემდეგი ზოგადი სახე:

$$X \Rightarrow \min \quad \text{მიზნის ფუნქცია} \quad (35)$$

შეზღუდვები:

$$D_i = \frac{\sum_{i=1}^n (B_i * C_i)}{\sum_{i=1}^n C_i}; \quad (36) \quad F_i = \frac{A_i * B_i * C_i}{D_i * \sum_{i=1}^n C_i}; \quad (37)$$

$$G_i = C_i - F_i; \quad (38) \quad H_i = -B_i * C_i * \frac{-J}{50} I_i = G_i + H_i; \quad (39) \quad J = \frac{-G_{igam} * 50}{K_d * \sum_{i=1}^n G_i + M * \rho * (E - \sum_{i=1}^n C_i)}; \quad (40)$$

$$\rho = \frac{\sum_{i=1}^n (C_i - C_{igam})}{\sum_{i=1}^n G_i}; \quad (41) \quad A_1 = A_2 = \dots = A_i; \quad (42) \quad D_i = \sum_{i=1}^n G_i; \quad (43) \quad G_1 : G_2 : \dots : G_i \leq C_1 : C_2 : \dots : C_i; \quad (44)$$

$$I_1 : I_2 : \dots : I_i \leq C_1 : C_2 : \dots : C_i \quad (45) \quad \sum_{i=1}^n F_i = R_{0i} \quad (46) \quad X = I_i \quad (47) \quad \text{or} \quad I_1 + I_2 + \dots + I_i \quad (48)$$

სადაც,

D_i - ელექტროენერგეტიკული სისტემის სტატიკური მახასიათებლის დახრილობის კოეფიციენტია;

B_i - **i** გენერატორის სტატიკური მახასიათებლის დახრილობის კოეფიციენტია,

C_i - **i** გენერატორის ნომინალური (მაქსიმალური) სიმძლავრეა;

F_i - **i** გენერატორზე პროპორციონალური განაწილებული რეზისის სიდიდეა;

A_i - პარალელურად მომუშავე გენერატორებზე განსაზღვრული რეზისის საერთო რაოდენობაა;

G_i - **i** გენერატორის წარმოება ნომინალური რეჟიმის დროს;

H_i - **i** გენერატორის მიერ დამატებით განვითარებული სიმძლავრეა ავარიული რეჟიმის პირობებში, რომელიმე **G_{igam}** გენერატორის ავარიული გამორთვის დროს;

J - **G_{igam}** გენერატორის ავარიული გამორთვის შემთხვევაში სისტემის სიხშირის გადახრა;

I_i - ავარიული რეჟიმის პირობებში **i** გენერატორის ჯამური წარმოებაა **G_i** გენერატორის ავარიული გამორთვის დროს;

G_{igam} - **G_{igam}** გენერატორის გამორთვამდე მისი ფაქტიური გამომუშავება;

K_d - დატვირთვის სტატიკური მახასიათებლის დახრილობის კოეფიციენტია;

M - სტატიკური მახასიათებლის დახრილობის კოეფიციენტია **G_{igam}** გენერატორის ავარიული გამორთვის შემთხვევაში;

p - სიმძლავრის რეზერვის კოეფიციენტია;

C_{igam} - ავარიულად გამორთული გენერატორის ნომინალური (მაქსიმალური) სიმძლავრეა;

X - გადატვირთული ელექტროგადაცემის ხაზის მკვებავი კვანძის გამომუშავებაა.

R_{0i} - **i** სთ-ის დროს ოპტიმალური ოპერატიული რეზერვის სიდიდეა;

D_i - **i** სთ-ის დროს დატვირთვის კვანძების მოხმარებაა; **i = 1, ..., n**;

¹ - შენიშვნა: დამატებით საჭირო ოპერატიული რეზერვი განაწილებულია მაგენენირებელ წყაროებზე, ხოლო მოხმარების დაფარვის დეფიციტი ალგორითმში გათვალისწინებულია როგორც იმპორტი.

მიღებული ოპტიმიზაციის ზოგადი ფუნქციის საფუძველზე შემუშავებულია სიმულაციის შედეგად ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არსებული ელექტროგადაცემის ხაზებში დროის გარკვეულ მონაკვეთში გამტარუნარობის არსებობის შემთხვევის მაკორექტირებელი ზოგადი ალგორითმი, რომელიც ასახულია ცხრილ №12-ში:

ცხრილი №12 მაკორექტირებელი ალგორითმი

1	დასაწყისი
2	პარალელურად მომუშავე მაგენენირებელი წყაროების t სთ-ის წარმოების და პროპორციის მეთოდის გამოყენებით მათზე გადანაწილებული R _i ოპერატიული რეზერვის სიდიდის მიხედვით ნორმალური და ავარიული რეჟიმის პირობებში ელექტროგადაცემის ხაზებში სიმძლავრეთა განაწილების სიმულაცია
3	სიმულაციის შედეგად მიღებული ელექტროგადაცემის ხაზების ფაქტიური ტვირთის შედარება დასაშვებ გამტარუნარიანობასთან

	<p>ნორმალურ და ავარიულ რეჟიმების დროს:</p> <p>თუ $P_{line,facti} \leq P_{line,peri}$ (46) მაშინ i ხაზი არ არის გადატვირთული, მაშინ გადადი 7 ეტაპზე</p> <p>თუ $P_{line,facti} > P_{line,peri}$ (47) მაშინ i ხაზი გადატვირთულია და გადადი შემდეგ - 3 ეტაპზე</p>
4	$i=1,\dots,n$ გადატვირთული ხაზების ფორმირება
5	მაკორექტირებელი ოპტიმიზაციის ფუნქციის მეშვეობით პარალელურად მომუშავე მაგენენირებელი წყაროების t სთ-ის წარმოების და პროპორციის მეთოდის გამოყენებით მათზე გადანაწილებული R_i ოპერატიული რეზერვის ახალი სიდიდის განსაზღვრა
6	ნორმალური და ავარიული რეჟიმის პირობებში ელექტროგადაცემის ხაზებში სიმძლავრეთა განაწილების სიმულაცია
7	დასასრული

ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სხვადასხვა მაჩვენებლების (წყლის ჩამონადენი, დატვირთვა და სხვ.) ცვალებადობა შემთხვევითი ხასიათისაა და მიმდინარეობს განუსაზღვრელობის პირობებში, მისი ზუსტი პროგნოზირება ფაქტურად შეუძლებელია, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს ცალკეული ელექტროსადგურების და მთლიანად ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის შეფერხება. ამიტომ საჭიროა ყოველსაათობრივი და დღე-დამური მუშაობის რეჟიმების მოდელირების და ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური სიდიდის დაგეგმვის დროს გათვალისწინებული იყოს პიდროელექტროსადგურებისა და სისტემის ჯამური დატვირთვის სხვადასხვა განუსაზღვრელობები.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს სხვადასხვა შემთხვევითი პროცესების აღმწერი განაწილების კანონები [75]. სხვადასხვა მეთოდებთან შედარებით უპირატესობა ენიჭება მონტე-კარლოს მეთოდს, რომელიც ეფუძნება ნორმალური განაწილების კანონს. იგი ალბათური მეთოდია და უდგება სტოქასტიკური ხასიათის ამოცანებს [76].

აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა განუსაზღვრელობის პირობებში მოიძებნოს დასმული ამოცანის ამონახაზისნი. იგი ეფუძნება ნორმალური განაწილების კანონს და მის საფუძველზე შემთხვევითი ციფრების გენერაციის საშუალებით ხორციელდება ამა თუ იმ სიტუაციის/პროცესის იმიტაცია. თუ მრავალჯერ განვახორციელებთ ერთი

და იმავე საწყისი მდგომარეობის შემთხვევით სიმულაციას გამოვლინდება ყველა ან თითქმის ყველა შესაძლო მოსალოდნელი შედეგი. რაც მეტი იქნება იტერაციის რაოდენობა მით მეტი იქნება ალბათობა ამა თუ იმ მოვლენის მოხდენის.

ალბათობის თეორიაში ნორმალური განაწილება (იგივე გაუსის განაწილება) წარმოადგენს უწყვეტი ტიპის განაწილებას [75,76]. ის აღწერს ისეთი შემთხვევითი სიდიდის განაწილებას, რომელიც კონცენტრირებულია ერთი მნიშვნელობის ირგვლივ. გრაფიკულად ნორმალური განაწილების სიმკვრივეს ზარის ფორმა აქვს. ანალიზურად იგი შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$f(x) = \frac{1}{\sigma\sqrt{2\pi}} e^{-\frac{(x-\mu)^2}{2\sigma^2}}, \quad (49)$$

სადაც μ პარამეტრი წარმოადგენს განაწილების მათემატიკურ ლოდინს, ანუ x -ის იმ მნიშვნელობას, რომლის გარშემოც კონცენტრირდება განაწილება (რომლის მოხდენის ალბათობაც ყველაზე დიდია), ხოლო σ^2 ახასიათებს განაწილების დისპერსიას (იგივე გარიაციას), ანუ გაფანტულობას. რაც უფრო დიდია ამ უკანასკნელის მნიშვნელობა, მით უფრო "ბრტყელია" განაწილების სიმკვრივის გრაფიკი და პირიქით. ფუნქცია სიმეტრიულია $x = \mu$ წრფის მიმართ და სრულდება პირობა $p(x) \rightarrow 0$, როცა $x \rightarrow \pm\infty$, ანუ რაც უფრო გადახრილია მნიშვნელობა მათემატიკური ლოდინიდან, მით უფრო ნაკლებია მისი მოხდენის ალბათობა.

დავუშვათ ელექტროენერგეტიკული სისტემა შედგება n რაოდენობის გენერატორებისგან, რომლის i სთ-თვის წარმოებებია P_1, P_2, \dots, P_n . ელექტროენერგეტიკული სისტემის ჯამური გენერაციაა $\sum_{i=1}^n P_i$. (50) სისტემაში m რაოდენობის დატვირთვის კვანძია, რომელთა დატვირთვებია D_1, D_2, \dots, D_m . სისტემის ჯამური დატვირთვაა i სთ-თვის $\sum_{i=1}^m D_i$. (51)

დავუშვათ i სთ-თვის ელექტროენერგეტიკული სისტემის ცენტრალურ დისპერჩერს აქვს მოლოდინი, რომ სხვადასხვა ფაქტორების განუსაზღვრელობის გამო i სთ-თვის მუშაობაში მყოფი

პიდროელექტროსადგურების P_1, P_2, \dots, P_n გენერაციების და სისტემის ჯამური დატვირთვის პროგნოზული მნიშვნელობებიდან მოსალოდნელი გადახრები $+10\%$ ფარგლებში იმერყევებს.

შესაძლო გადახრების მაქსიმალურ და მინიმალურ მნიშვნელობებს აქვთ ცხრილ №13-ში მოცემული სახე:

ცხრილი №13 i საათის მომუშავე ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არალელურად პიდროელექტროსადგურების გენერატორების წარმოების და დატვირთვის ნომინალური მნიშვნელობებიდან შესაძლო პროცენტული გადახრები

გენერატორი	გენერატორი			$\sum_{i=1}^n (D_i - P_{sxva})$ (52)
	1	2	n	
მაქსიმალური $+10\%$	P'_1	P'_2	P'_n	$\sum_{i=1}^n D'_i - P'_{sxva}$ (53)
მინიმალური 10%	P''_1	P''_2	P''_n	$\sum_{i=1}^n D''_i - P''_{sxva}$ (54)

სადაც, $\sum_{i=1}^n (D_i - P_{sxva})$ - ელექტროენერგეტიკული სისტემის i საათის ჯამური დატვირთვაა თბოელექტროსადგურების და გენერაციის სხვა წყაროების ელექტროენერგიის გენერაციის გამოკლებით (გარდა პიდროელექტროსადგურის გამომუშავებისა).

მათემატიკურად განუსაზღვრელობის აღწერის მიზნით i სთ-თვის განხორციელებულია მოსალოდნელი ყველა შესაძლო გადახრების სიმულაცია ცხრილ №13-ში მოცემულ ფარგლებში მონტე-კარლოს მეთოდის გამოყენებით თანაბარზომიერი განაწილების კანონის [76] საფუძველზე შემთხვევითი ციფრების გენერაციით. შედეგები მოცემულია ცხრილ №14-ში:

ცხრილი №14 i საათის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პარალელურად მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების გენერატორების წარმოების და დატვირთვის ნომინალური მნიშვნელობებიდან შესაძლო გადახრები სხვადასხვა სცენარები

სცენარი	გენერატორი			დატვირთვა
	1	2	n	$\sum_{i=1}^n (D_i - P_{sxva})$ (55)
სიმულაცია-1	P_1'''	P_2'''	P_n'''	$\sum_{i=1}^n D_i''' - P_{sxva}'''$ (56)
სიმულაცია-2	P_1''''	P_2''''	P_n''''	$\sum_{i=1}^n D_i'''' - P_{sxva}''''$ (57)
სიმულაცია-n	$P_1^{''''n}$	$P_2^{''''n}$	$P_n^{''''n}$	$\sum_{i=1}^n (D_i^{''''n} - P_{sxva}^{''''n})$ (58)

სხვადასხვა სცენარებისათვის მიღებულია აქტიური სიმძლავრის შესაძლო უბალანსობები, რომელიც გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\sum_{i=1}^n P_i^j - \sum_{i=1}^n (D_i^j - P_{sxva}^j) = \Delta P^j \quad (59)$$

სადაც, $\sum_{i=1}^n P_i^j$ - j სცენარის დროს ელექტროენერგეტიკული სისტემის ჯამური გენერაცია; $\sum_{i=1}^n D_i^j$ - j სცენარის დროს ელექტროენერგეტიკული სისტემის ჯამური დატვირთვა; ΔP_i^j - j სცენარის დროს ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის უბალანსობა. ქტიური სიმძლავრის შესაძლო დაუბალანსებლობის სცენარებს აქვთ ცხრილ №15-ში მოცემული სახე:

ცხრილი №15 i საათის ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის შესაძლო დაუბალანსებლობების სცენარები

სცენარი	დაუბალანსებლობა
სიმულაცია-1	ΔP^1
სიმულაცია-2	ΔP^2
სიმულაცია-n	ΔP^n

ΔP^1 , ΔP^2 , ΔP^n მნიშვნელობების ნორმალური განაწილების მრუდის ასაგებად გამოთვლილია საშუალო არითმეტიკული და სტრანდარტული გადახრა შემდეგი ფორმულებით:

$$M = \frac{\sum \Delta P^n}{N} \quad S = \sqrt{\frac{\sum (\Delta P^n - M)^2}{N-1}} \quad (60)$$

სადაც, M – საშუალო არითმეტიკულია, S – სტრანდარტული გადახრა, ΔP^n – n სცენარის შესაბამისი აქტიური სიმძლავრის უბალანსობაა, $S=1$ სცენარის (სიმულაციის) რაოდენობა.

განსაზღვრული M და S მნიშვნელობების საფუძველზე (1) ფორმულის მიხედვით აგებულია ნორმალური განაწილების მრუდი.

მიღებული მნიშვნელობების სხვადასხვა ალბათობების გამოსათვლელად შედგენილი ნორმალური განაწილების მრუდი გადაყვანილია სტრანდარტულ ნორმალური განაწილების მრუდედ, რომლის საშუალო არითმეტიკული $M=0$ და სტრანდარტული გადახრა $S=1$.

ΔP^n უბალანსობის ალბათობის გამოსათვლელად გამოყენებულია Z ქულების შეფასება, რომელსაც ΔP^n მნიშვნელობა გადაჰყავს Z სტრანდარტიზებულ ქულაში. მას აქვს შემდეგი სახე:

$$Z = \frac{\Delta P^n - M}{S} \quad (61)$$

Z სხვადასხვა ქულების შესაბამისად სტრანდარტული ნორმალური განაწილების ცხრილის მეშვეობით ვსაზღვრავთ შესაბამის ალბათობას.

ელექტროენერგეტიკული სისტემის i ყოველსაათობრივი ოპერატორიული რეზერვის მინიმალური სიდიდის (სხვადასხვა განუსაზღვრელობების გათვალისწინებით) გამოსათვლელად ნახაზი N_6 შემუშავებული არამკაფიო ლოგიკის მოდელით მიღებული ყოველსაათობრივი მისაღები რისკის დონეების მიხედვით განხორციელებულია შესაბამისი ალბათობების შერჩევა, რომლის საფუძველზეც ამორჩევულია შესაძლო დაუბალანსებლობის სიდიდიდე.

შემუშავებულია i სთ-თვის ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის ოპერატორის ოპერატორიული რეზერვის მინიმალური სიდიდის განმსაზღვრელი ცხრილ №16-ში მოცემული ალგორითმი.


ცხრილი №16 ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის ოპერატორიული რეზერვის მინიმალური სიდიდის განმსაზღვრელი ალგორითმი
(განუსაზღვრელობის გათვალისწინებით)

1	დასაწყისი
2	i (i=1,...,24) საათისთვის პარალელურად მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების k (k=1,...,n) გენერატორების სის ფორმირება
3	i (i=1,...,24) საათისთვის პარალელურად მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების k (k=1,...,n) გენერატორების და სისტემის დატვირთვის სიდიდეების ფორმირება
4	i (i=1,...,24) საათისთვის პარალელურად მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების k (k=1,...,n) გენერატორების და სისტემის დატვირთვის სიდიდეების შესაძლო პროცენტული გადახრების ფორმირება
5	i (i=1,...,24) საათისთვის პარალელურად მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების k (k=1,...,n) გენერატორების და სისტემის დატვირთვის სიდიდეების გადახრების ზედა და ქვედა ზღვრების ფორმირება
6	მონტე-კარლოს მეთოდის და თანაბარი განაწილების კანონის საფუძველზე i (i=1,...,24) საათისთვის პარალელურად მომუშავე ჰიდროელექტროსადგურების k (k=1,...,n) გენერატორების და სისტემის დატვირთვის სიდიდეების გადახრების სხვადასხვა m (m=1,...,j) სცენარების ფორმირება
7	i (i=1,...,24) საათისთვის ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის ΔP^n დაუბალანსებლობების სცენარების ფორმირება
8	i (i=1,...,24) საათისთვის აქტიური სიმძლავრის ΔP^n დაუბალანსებლობების საშუალო არითმეტიკული M და სტანდარტული გადახრის S მნიშვნელობების ფორმირება
9	ნორმალური განაწილების კანონის საფუძველზე i (i=1,...,24) საათისთვის ΔP^n დაუბალანსებლობების შესაბამისი ალბათობების გამოთვლა და ნორმალური განაწილების მრუდის აგება
10	ნახაზი №2.3 შემუშავებული არამკაფიო დოგიკის მოდელით მიღებული ყოველსაათობრივი მისაღები რისკის დონეების მიხედვით ნორმალური განაწილების მრუდიდან შესაბამისი ალბათობების და ΔP^n დაუბალანსებლობების შერჩევა
11	დასასრული

2.2 ექსპერიმენტული ნაწილი

ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის ყოველსაათობრივი ოპერატორული რეზერვის ოპტიმალური დაგეგმვის მეთოდიკის პრაქტიკაში აპრობაციის მიზნით მაგალითისათვის განხილულია ელექტროენერგეტიკული სისტემა. ცხრილ №17, დანართ №1 და №2-ში, ნახაზი №7-ში მოცემულია სისტემის მახასიათებლები. სისტემაში არსებული ძაბვა 220 კვ-ია. გამარტივების მიზნით რეაქტორული ტვირთები და კარვები ეგბ-ებში მიღებულია 0-ის ტოლად.

დანართ №1, №2-ის და ცხრილ №8-ის მონაცემების მიხედვით მიღებულია ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგენენირებელი წყაროების აქტიური სიმძლავრის მოცდენის ალბათობრივ-ვარიანტული დანართი №3.



ნახაზი №7 ელექტროენერგეტიკული სისტემის ცალხაზოვანი სქემა²


² შენიშვნა: გამარტივების მიზნით რამდენიმე გენერატორი ნახაზიაზე წარმოდგენილია ერთ გენერატორად.

ცხრილი №17. ელექტროენერგეტიკული სისტემის ელექტროგადაცემის
ხაზების გამტარუნარიანობა

გვ.№	კვანძიდან	კვანძამდე	დასაშვები გამტარუნარიანობა, მგვტ
1	1	2	1000
2	1	3	1000
3	2	3	1000
4	2	4	1000
5	2	5	1000
6	2	6	750
7	2	6	750
8	3	4	1000
9	4	5	1000
10	5	7	1000
11	6	7	1000
12	6	7	1000

დანართი №2-ის მონაცემების მიხედვით სისტემაში არსებული 5 დატვირთვის კვანძისათვის ზემოთ მოყვანილი მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებულია არამკაფიო ლოგიკის მოდელი, რომელიც ასახულია ნახაზი. №8-ზე.

პროგრამული პაკეტის Fuzzytech-ის ბაზაზე შესრულებული გაანგარიშებით დადგენილია ელექტროენერგეტიკული სისტემის ყოველსაათობრივად თითოეული დატვირთვის კვანძის საიმედოობის Y_1, Y_2, Y_3, Y_4, Y_5 და მთლიანად სისტემისთვის საჭირო Y_s რისკის დონეები. ანალიზის შედეგები მოცემულია ცხრილ №18-ზე.



ნახაზი №8 ყოველსაათობრივი რისკის დონის შეფასების
არამკაფიო ლოგიკის ოდნონიანი მოდელი

**ცხრილი №18 ელექტროენერგეტიკული სისტემის ყოველსაათობრივი და
მისაღები რისკის დონე**

საათი	0-1	1-2	2-3	3-4	4-5	5-6	6-7	7-8
Y ₁	0.0156	0.0167	0.018	0.0165	0.0156	0.0166	0.0193	0.0165
Y ₂	0.0248	0.0211	0.0205	0.0239	0.0216	0.0201	0.0215	0.0213
Y ₃	0.0292	0.021	0.0286	0.0234	0.0212	0.0297	0.0273	0.0254
Y ₄	0.018	0.0175	0.02	0.0174	0.0156	0.0166	0.0132	0.0153
Y ₅	0.0143	0.0143	0.015	0.015	0.0136	0.0133	0.02	0.0103
Y _s	0.022	0.02	0.0222	0.0216	0.0191	0.02	0.0218	0.0207
საათი	8-9	9-10	10-11	11-12	12-13	13-14	14-15	15-16
Y ₁	0.0109	0.0181	0.0182	0.0169	0.0138	0.0136	0.0153	0.0103
Y ₂	0.0226	0.0217	0.0199	0.0213	0.0179	0.0224	0.0152	0.0196
Y ₃	0.0205	0.0218	0.0202	0.0246	0.0232	0.0215	0.0266	0.0259
Y ₄	0.0166	0.0127	0.0138	0.0134	0.0172	0.0147	0.0176	0.0103
Y ₅	0.0108	0.0111	0.0115	0.0158	0.0127	0.0188	0.0113	0.0154
Y _s	0.0195	0.0188	0.0189	0.0205	0.0189	0.0202	0.0201	0.0203
საათი	16-17	17-18	18-19	19-20	20-21	21-22	21-22	22-23
Y ₁	0.0134	0.0123	0.02	0.012	0.0114	0.0149	0.0156	0.02
Y ₂	0.02	0.0255	0.0231	0.0182	0.0152	0.0189	0.0214	0.0177
Y ₃	0.0231	0.0252	0.0216	0.02	0.0233	0.0245	0.02	0.0267
Y ₄	0.0176	0.0103	0.0115	0.0172	0.0156	0.0178	0.013	0.0175
Y ₅	0.0161	0.0131	0.0131	0.0149	0.0137	0.017	0.0167	0.014
Y _s	0.0205	0.0194	0.0184	0.019	0.0183	0.0209	0.0202	0.0202


დანართ №1, №2 და ცხრილ №18 ასახული მონაცემებით და ცხრილ №11-ში მოცემული ალგორითმით განსაზღვრულია ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ყოველსაათობრივი ოპერატორული რეზისურების ოპტიმალური სიდიდე და შედეგები შეტანილია ცხრილ №19-ში.

ცხრილი №19 ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ყოველსაათობრივი ოპერატორული რეზისურების ოპტიმალური სიდიდე

საათი	0-1	1-2	2-3	3-4	4-5	5-6	6-7	7-8
არსებული ოპერატორული რეზისურები	920	520	920	720	420	720	920	440
დამატებით საჭირო ოპერატორული რეზისურები	0	0	0	0	0	0	0	0
სულ ოპერატორული რეზისურები	920	520	920	720	420	720	920	440


% დატვირთვასთან	28.75	14.44	28.75	21.17	11.35	21.17	28.75	11.95
საათი	8-9	9-10	10-11	11-12	12-13	13-14	14-15	15-16
არსებული ოპერატიული რეზერვი	200	340	280	580	320	560	340	220
დამატებით საჭირო ოპერატიული რეზერვი	220	80	140	0	100	0	80	200
სულ ოპერატიული რეზერვი	420	420	420	580	420	560	420	420
% დატვირთვასთან	10.71	11.11	10.93	16.38	11.05	15.73	11.11	10.76
საათი	16-17	17-18	18-19	19-20	20-21	21-22	21-22	22-23
არსებული ოპერატიული რეზერვი	520	280	480	240	120	620	400	700
დამატებით საჭირო ოპერატიული რეზერვი	0	140	0	180	300	0	20	0
სულ ოპერატიული რეზერვი	520	420	480	420	420	620	420	700
% დატვირთვასთან	14.44	10.93	13.18	10.82	10.5	17.714	11.29	20.46

ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პარალელურად მომუშავე განვითარებული მუშა რეზერვის რაოდნობა მოცემულია ნახაზი. №9-ზე.



ნახაზი №9 ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პარალელურად მომუშავე განვითარებული მუშა რეზერვის რაოდნობა

ცხრილ №8-სა და ნახაზი №9-ზე მოცემული მონაცემებიდან გამომდინარე ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პარალელურად მომუშავე გენერატორების მიერ ელექტროენერგიის წარმოებას აქვს ნახაზი №10-ზე ასახული სახე:




ნახაზი. №10 ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პარალელურად მომუშავე გენერატორების მიერ ელექტროენერგიის წარმოება

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად მიღებული ოპერატორი რეზერვის ოპტიმალურობის დასადგენად ყოველსაათობრივად განხორციელებულია სისტემაში არსებული ყველაზე დიდი სიმძლავრის 29-ე გენერატორის ავარიული გამორთვის სიმულაცია და შედეგები შეტანილია ცხრილი №20-სა და გამოსახულია ნახაზი №11-ზე.

ცხრილი №20 29-ე გენერატორის გამორთვის სიმულაციის შედეგები


საათი	0-1	1-2	2-3	3-4	4-5	5-6	6-7	7-8
დარჩენილი ოპერატორი რეზერვი, მგვტ	620.44	183.43	620.44	401.86	74.23	401.86	620.44	96.04
სისტერის გადახრა	-0.171	-0.192	-0.171	-0.182	-0.198	-0.182	-0.171	-0.197
ჯამური დატვირთვის შემცირება, მგვტ	-22	-28	-22	-25	-29	-25	-22	-29
ჯამური დატვირთვის შემცირება, %	0,68	0,77	0,68	0,73	0,78	0,73	0,68	0,78
საათი	8-9	9-10	10-11	11-12	12-13	13-14	14-15	15-16
დარჩენილი	75.83	74.81	75.25	248.94	74.96	227.10	74.81	75.68

ოპერატიული რეზერვი, მგვტ								
სისშირის გადახრა	-0.197	-0.197	-0.197	-0.189	-0.197	-0.190	-0.197	-0.197
ჯამური დატვირთვის შემცირება, მგვტ	-31	-30	-30	-27	-30	-27	-30	-31
ჯამური დატვირთვის შემცირება, %	0,79	0,79	0,78	0,76	0,78	0,75	0,79	0,79
საათი	16-17	17-18	18-19	19-20	20-21	21-22	21-22	22-23
დარჩენილი ოპერატიული რეზერვი, მგვტ	183.44	75.25	139.70	75.54	76.40	292.64	74.38	380.02
სისშირის გადახრა	-0.192	-0.197	-0.194	-0.197	-0.196	-0.187	-0.197	-0.183
ჯამური დატვირთვის შემცირება, მგვტ	-28	-30	-28	-31	-31	-26	-29	-25
ჯამური დატვირთვის შემცირება, %	0,77	0,78	0,76	0,79	0,77	0,74	0,77	0,73




ნახაზი №11: ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პარალურად მომუშავე
გენერატორების ელექტროენერგიის ყოველსათობრივი წარმოება 29-ე
გენერატორის გამორთვის შემთხვევაში

ელექტროგადაცემის ხაზების განტარუნარიანობის
შესამოწმებლად 24 სთ-თვის განხორციელებულია სისტემაში
სიმძლავრეთა განაწილების სიმულაცია პროგრამა PowerWorld-ის
გამოყენებით [74] ნორმალურ და ავარიულ რეჟიმებში. 1 საათისთვის
მიღებულ შედეგებს აქვთ ნახაზი №12 და №13-ზე გამოსახული სახე:




ნახაზი №12. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში ელექტროენერგეტიკულ
სისტემაში სიმძლავრეთა განაწილება ნორმალურ რეჟიმში




ნახაზი №13. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სიმძლავრეთა განაწილება
ავარიულ რეჟიმში 29-ე გენერატორის გამორთვის დროს

როგორც ნახაზი. №13-დან ჩანს 29-ე გენერატორის ავარიული
გამორთვის შემთხვევაში 6-2 კვანძებს შორის ორი ელექტროგადაცემის
ნაზი გადაიტვირთება.

ცხრილ №12-ზე მოცემული მაკორექტირებელი ალგორითმის საფუძველზე განხორციელებული ანგარიშების შედეგებს აქვთ ნახაზი №14 და ნახაზი №15-ზე მოცემული სახე.



ნახაზი. №14. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სიმძლავრეთა განაწილების კორექტირებული სიდიდეები ნორმალურ რეჟიმში



ნახაზი. №15 ელექტროენერგეტიკულ სისტემაში სიმძლავრეთა განაწილების კორექტირებული სიდიდეები ავარიულ რეჟიმში 29-ე გენერატორის გამორთვის შემთხვევაში

როგორც ნახაზი №14 და №15-დან ჩანს არც ნორმალურ და არც ავარიულ რეჟიმში ელექტროენერგეტიკული სისტემის არცერთი

გენერატორი და ელექტროგადაცემის ხაზი არ არის გადატვირთული.
სიმულაციის შედეგები 1 სთ-ისთვის მოცემულია ცხრილ №21-ში.

ცხრილი №21. 1 სთ-ის სიმულაციის შედეგები

დასახელება		საწყისი	კორექტირებული
სისტემაში დარჩენილი ოპერატორული რეზერვი, მგვტ		620,44	518,62
სიხშირის გადახრა		-0,171	-0,1556
სისტემაში ძაბვების დონეები	მინიმალური	ნორმალური რეჟიმი	211,2
	მაქსიმალური	ავარიული რეჟიმი	202,4
	მინიმალური	ნორმალური რეჟიმი	231
	მაქსიმალური	ავარიული რეჟიმი	231
ჯამური დატვირთვის შემცირება, მგვტ		-22	-19,9168

ცხრილ №16-ში მოცემული ალგორითმის საფუძველზე
განუსაზღვრელობის პირობებში ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის ოპტიმალური სიდიდის (მინიმალური) ანგარიშის შედეგები მოცემულია ცხრილ №22-ში.

ცხრილი №22. ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის ოპერატიული რეზერვის სიდიდე (მინიმალური, განუსაზღვრელობის გათვალისწინებით)

საათი	0-1	1-2	2-3	3-4	4-5	5-6	6-7	7-8
Y_s	0,022	0,02	0,0222	0,0216	0,0191	0,02	0,0218	0,0207
საშუალო	0,34	0,19	-0,15	-0,05	0,14	-0,06	0,06	-0,07
სტ. გადახრა	112,82	129,21	112,19	121,24	133,18	120,69	112,39	133,16
მინიმალური ოპერატიული რეზერვი	257	300	255	278	310	279	258	305
% დატვირთვასთან	8,03	8,33	7,97	8,18	8,38	8,21	8,06	8,29
საათი	8-9	9-10	10-11	11-12	12-13	13-14	14-15	15-16
Y_s	0,0195	0,0188	0,0189	0,0205	0,0189	0,0202	0,0201	0,0203
საშუალო	0,0122	0,0122	0,0122	0,0268	0,0122	0,0156	0,0122	0,0122
სტ. გადახრა	134,73	134,73	134,73	128,20	134,73	128,41	134,73	134,73
მინიმალური ოპერატიული	312	315	315	297	315	295	310	310

რეზერვი								
% დატვირთვასთან	7,96	8,33	8,20	8,39	8,29	8,29	8,20	7,95
საათი	16-17	17-18	18-19	19-20	20-21	21-22	22-23	23-24
Y_s	0.0205	0.0194	0.0184	0.019	0.0183	0.0209	0.0202	0.0202
საშუალო	-0,104	0,012	-0,09	0,012	0,012	0,10	0,012	0,075
სტ. გადახრა	129,64	134,73	132,96	134,73	134,73	125,30	134,73	121,98
მინიმალური ოპერატორი რეზერვი	298	312	311	315	316	289	310	281
% დატვირთვასთან	8,28	8,13	8,54	8,12	7,90	8,26	8,33	8,22

II თავის დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგად:

1. შემუშავებულია ელექტროენერგეტიკული სისტემის სხვადასხვა მაგენერირებელი წყაროების ავარიული სცენარების ფორმირების ალგორითმი;
2. ელექტროენერგეტიკული სისტემის და მისი დატვირთვის კვანძების რისკის დონის შეფასების თრდონიანი არამკაფიო ლოგიკის მათემატიკური მოდელი;
3. პროპორციის მეთოდის გამოყენებით აქტიური სიმძლავრის ოპერატორი რეზერვის ოპტიმალური სიდიდეები გადანაწილებულია პარალელურად მომუშავე გენერატორებზე;
4. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში არსებული ელექტროგადაცემის ხაზებში დროის გარკვეულ მონაკვეთში ავარიული რეჟიმის პირობებში გამტარუნარობის არსებობის შემთხვევისთვის შემუშავებულია ოპტიმიზაციის ფუნქცია და შესაბამისი მაკორექტირებელი ალგორითმი, რომელიც ახდენს ოპერატორი რეზერვის და აქტიურ სიმძლავრეთა ისეთ გადანაწილებას სისტემაში, რომ ნორმალური და ავარიული რეჟიმების დროს არსებული გადატვირთული ელექტროგადაცემის ხაზი ან ხაზები განიტვირთება.

5. ჩამოყალიბებულია ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის ოპერატორიული რეზერვის ოპტიმალური დაგეგმვის მეთოდიკა და ალგორითმი;
6. შემუშავებულია ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პარალელურად მომუშავე პიდროველექტროსადგურებსა და დატვირთვის კვანძების დატვირთვების განუსაზღვრელობების საფუძველზე ელექტროენერგეტიკული სისტემისთვის ყოველსაათობრივად საჭირო აქტიური სიმძლავრის ოპერატორიული რეზერვის მინიმალური ოპტიმალური სიდიდის განმსაზღვრელი მეთოდიკა და შესაბამისი ალგორითმი;
7. შემუშავებული მეთოდიკა ატარებს უნივერსალურ ხასიათს ის ელექტროენერგეტიკულ სისტემას საშუალებას აძლევს მაგენენირებელი მოწყობილობების პარამეტრების, დატვირთვის კვანძების საიმედოობის მახასიათებლების, ელგადაცემის ხაზების გამტარუნარიანობის და ელექტროენერგიაზე ყოველსაათობრივი მოთხოვნის პარამეტრების შესაბამისად ოპტიმალურად დაგეგმოს ოპერატორიული რეზერვის ყოველსაათობრივი სიდიდე.

თავი III. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა

3.1 ამოცანის დასმა და პრობლემის გადაწყვეტის მეთოდოლოგია

ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის საიმედოობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რემონტების ოპტიმალურად დაგეგმვას. რემონტების დაგეგმვაში გათვალისწინებული უნდა იყოს ოპტიმალურობის საერთო პრინციპები, რაც ნიშნავს მოწყობილობების ფაქტიური ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის, დადგენილი ნორმატივების და არსებული რესურსების შესაბამისად პრევენციული რემონტების ჩატარებას ელექტროსადგურების და სისტემაში შემავალი სხვა მოწყობილობების გეგმიურ-გამაფრთხილებლი რემონტების არსებული სისტემის ჩარჩოებში. რემონტების ჩატარებაზე დაკვეთის მომზადებას წინ უნდა უსწრებდეს სარემონტო სამუშაოების მოცულობის და ხანგრძლივობის შეფასებას. სარემონტო რეზერვის სიმძლავრის მდგენელი უნდა დაიგეგმოს, ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობისადმი წაყენებული მოთხოვნების მიხედვით, აგრეგატების და მოწყობილობების რემონტის ხანგრძლივობა უნდა შეიზღუდოს საექსპლუატაციო და ტექნილოგიური ხასიათიდან გამომდინარე.

დასმული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით ლიტერატურის მიმოხილვის ანალიზის საფუძველზე და ჩატარებული კვლევის შედეგად ელექტროენერგეტიკულ სისტემაში შემავალ ენერგოობიექტებზე არსებული მოწყობილობა-დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის კომპლექსურად შეფასებაში გამოიკვეთა არამკაფიო ლოგიკის მეთოდის დიდი უპირატესობა [73,57,58]. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა ელექტროდანადგარების ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებაში გათვალისწინებულ იქნას ფაქტორების დიდი რაოდენობა. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ელექტროენერგეტიკული სისტემის ენერგოობიექტებზე არსებული ელექტროდანადგარების ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასებისათვის შეირჩეს ისეთი X_1 , X_2 , X_n ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ i

ელექტროდანადგარის Y_d რეიტინგის სრულყოფილად დადგენას. არსებული გამოცდილების [61,62,63,64,65,66,67] და რეალური მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე შერჩეული იქნა 12 ფაქტორი:

X_1 - ელექტროდანადგარის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობა (ვიზუალური), ქულა;

X_2 - პერსონალის უსაფრთხოებაზე ზემოქმედება, ქულა;

X_3 - ელექტროენერგეტიკული სისტემის სამეცნიერო ზემოქმედება, ქულა;

X_4 - გარემოზე ზემოქმედება, ქულა;

X_5 - ელექტროდანადგარის ღირებულება, ლარი;

X_6 - ელექტროდანადგარის ავარიული გამორთვების სიხშირე, პროცენტი/100;

X_7 - ელექტროდანადგარის რემონტის დრო, საათი;

X_8 - ელექტროდანადგარის რემონტისთვის საჭირო სარემონტო პერსონალის რაოდენობა, კაცი;

X_9 - ელექტროდანადგარის ექსპლუატაციაში ყოვნის ხანგრძლივობა, წელი;

X_{10} - ელექტროდანადგარის ტექნიკური მდგომარეობის გაზომვის შედეგები, ქულა;

X_{11} - ხანგრძლივობა (ბოლოს ჩატარებული რემონტიდან), წელი;

X_{12} - ელექტროდანადგარის საშუალო დატვირთვა, პროცენტი;

Y_d - ელექტროდანადგარის მიმდინარე რეიტინგი, ქულა.

Y_d - დაბალი ქულა (რეიტინგი) აღნიშნავს, ელექტროდანადგარის ცუდ მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

X_1, \dots, X_{12} ფაქტორების შეფასებათა სისტემა მოცემულია ცხრილ №23-ში:

ცხრილი №23. X_1, \dots, X_{12} ფაქტორების და Y_d რეიტინგის შეფასებათა სისტემა

№	ფაქტორი	შეფასებათა სისტემა (მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები)		
		1 (ცუდი)	2 (საშუალო)	3 (კარგი)
1	X_1	1 (ცუდი)	2 (საშუალო)	3 (კარგი)
2	X_2	1 (დიდი)	2 (საშუალო)	3 (მცირე)
3	X_3	1 (დიდი)	2 (საშუალო)	3 (მცირე)
4	X_4	1 (დიდი)	2 (საშუალო)	3 (მცირე)

5	X_5	შესაფასებელი I_1, I_2, \dots, I_n ელ.დანადგარების Z_1, Z_2, \dots, Z_n დირებულებებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა		
6	X_6	შესაფასებელი I_1, I_2, \dots, I_n ელ.დანადგარების G_1, G_2, \dots, G_n ავარიული გამორთვების სიხშირეებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა		
7	X_7	შესაფასებელი I_1, I_2, \dots, I_n ელ.დანადგარების T_1, T_2, \dots, T_n სარემონტო დროებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა		
8	X_8	შესაფასებელი I_1, I_2, \dots, I_n ელ.დანადგარების რემონტისთვის საჭირო P_1, P_2, \dots, P_n სარემონტო პერსონალის რაოდენობებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა		
9	X_9	შესაფასებელი I_1, I_2, \dots, I_n ელ.დანადგარების E_1, E_2, \dots, E_n ექსპლუატაციაში ყოფნის ხანგრძლივობებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა		
10	X_{10}	1 (ცუდი)	2 (საშუალო)	3 (კარგი)
11	X_{11}	შესაფასებელი I_1, I_2, \dots, I_n ელ.დანადგარების ბოლოს ჩატარებული რემონტიდან K_1, K_2, \dots, K_n ხანგრძლივობებს შორის მინიმალური და მაქსიმალური მნიშვნელობა		
12	X_{12}	0 % (მცირე)	50 % (საშუალო)	100 % (დიდი)
13	Y_d	1 (ცუდი)	2 (საშუალო)	3 (კარგი)

ექსპერტული შეფასების საფუძველზე შედგენილია X_1, \dots, X_{12} მახასიათებლების გავლენის მატრიცა Y_d რეიტინგზე. შედეგები შეტანილია ცხრილ №24-ში.


ცხრილი №24. X_1, \dots, X_{12} მახასიათებლების გავლენის მატრიცა Y_d რეიტინგზე

ფაქტორი	X_1	X_2	X_3	X_4	X_5	X_6
	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა
Y_d	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	კლება	კლება
	დადებითი კავშირი		უარყოფითი კავშირი		უარყოფითი კავშირი	

გაგრძელება:

ფაქტორი	X_7	X_8	X_9	X_{10}	X_{11}	X_{12}
	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა	ზრდა
Y_d	კლება	კლება	კლება	ზრდა	კლება	კლება
	უარყოფითი კავშირი		დადებითი კავშირი		უარყოფითი კავშირი	

Y_d რეიტინგის და X_1, X_2, \dots, X_{12} ფაქტორების არამკაფიო სიმრავლეზე დასაყვანად გამოყენებულია სამკუთხედის წევრის ფუნქცია და ცხრილ №1-ში ასახული მაჩვენებლები დაყოფილია 32 ნაწილად. ერთ-ერთი მაჩვენებელს აქვს ნახაზი. №16 მოცემული ზოგადი სახე:



ნახაზი №16 სამკუთხედის წევრის ზოგადი ფუნქცია

X_1, X_2, \dots, X_{12} ფაქტორების Y_d რეიტინგის შეფასებაზე ფუნქციურ დამოკიდებულებას აქვს შემდეგი სახე:

$$Y_1, Y_2, \dots, Y_i = \psi_1(X_1, X_2), \quad (62) \quad Y_s = \psi_2(Y_1, Y_2, \dots, Y_i) \quad (62)$$

სადაც, ψ_1 და ψ_2 პროცედურაა, რომელიც შეიცავს წესების ბაზას და აკაგშირებს X_1, X_2, \dots, X_{12} და Y_d მახასიათებლებს ერთმანეთთან.


X_1, X_2, \dots, X_{12} ფაქტორების Y_d რეიტინგზე გავლენის მატრიცის n რაოდენობის ჩამოყალიბებული წესების მიხედვით დგინდება ყოველ X_1, X_2, \dots, X_{12} მახასიათებლის ცვალებადობის გავლენა Y_d -ს მნიშვნელობაზე. ეს პროცესი აღწერილია ნახაზი. №17-ზე:

#	IF dat1	THEN DoS	risk1fin
1	term1	1.00	term32
2	term2	1.00	term31
3	term3	1.00	term30
4	term4	1.00	term29
5	term5	1.00	term28
6	term6	1.00	term27
7	term7	1.00	term26
8	term8	1.00	term25

ნახაზი №17 ჩამოყალიბებული წესების ზოგადი სტრუქტურა

სადაც, $term_i = X_1, X_2, \dots, X_{12}$ და Y_d მახასიათებლების i ინტერვალია; $Dos - i$ ინტერვალის შესაბამისი წესის წონაა;

წარმოდგენილი შემსვლელი ინფორმაციის დამუშავებისა (ფაზიფიკაცია) და საბოლოო შედეგის (დეფაზიფიკაცია) მისაღებად სხვადასხვა დატვირთვის კვანძის გათვალისწინებით შემუშავდა არამკაფიო მოდელირების პროცესის მიმდინარეობის ინტერაქტიული ზოგადი ბლოკ-სქემა (ნახაზი. №18).



ნახაზი №18. ელექტროდანადგარის კომპლექსური ტექნიკურ-ეკონომიკური მდგრმარეობის შეფასების ზოგადი მოდელი

სადაც, $technical, \dots, datvirtva$ (პირველი ბლოკი) – i ფაქტორია; RBi – i ფაქტორის Y_d რეიტინგზე გავლენის წესების მაჩვენებელი ბლოკია; Y_d – ელექტროდანადგარის მიმდინარე რეიტინგია.

საბოლოო შედეგის მიღება (დეფაზიფიკაცია) განხორციელდა მაქსიმუმის ცენტრის მეთოდის გამოყენებით (მინიმაქსის პრინციპი) [73,57,58], რომელსაც აქვთ შემდეგი ზოგადი სახე:

$$Y_d = \frac{(X_1\mu_1 + X_2\mu_2 + \dots + X_n\mu_n)}{(\mu_1 + \mu_2 + \dots + \mu_n)} \quad (63)$$

სადაც, \mathbf{X}_i - i ფაქტორია; $\boldsymbol{\mu}_i$ - i ფაქტორის მნიშვნელობის დამაჯერებლობის ხარისხია (ალბათობა)

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით ენერგობიექტზე არსებული ყველა ელექტროდანადგარისათვის განხორციელდა ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და მიღებულია Y_{d1}, \dots, Y_{dn} შეფასებათა სიმრავლე.

ენერგობიექტზე არსებული ელექტროდანადგარების პრევენციული რემონტებისათვის გამოყოფილი B_d შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში Y_{d1}, \dots, Y_{dn} შეფასებათა სიმრავლეების საფუძველზე ოპტიმალურად შეირჩევა ელექტროდანადგარების ის ერთობლიობა, რომელთაც გააჩნიათ დაბალი რეიტინგი (ცუდი მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა).

ზემოაღნიშნული პრობლემა გამოისახება შემდეგი კრიტერიუმების სახით:

1. პრევენციულ რემონტში გასაყვანი ელ.მოწყობილობების რაოდენობის მაქსიმუმი;
2. პრევენციულ რემონტში გასაყვანი დაბალი რეიტინგის მქონე ელ.მოწყობილობების მაქსიმუმი;
3. პრევენციული რემონტისთვის გამოყოფილი თანხის გამოყენების მაქსიმუმი.

მატემატიკურად ოპტიმიზაციის [69,77] ფუნქცია, შეზღუდვებით გამოისახება შემდეგნაირად:

$$\mathbf{L} \rightarrow \max \quad (64)$$

შეზღუდვები:

$$\mathbf{D} + \mathbf{R} - \mathbf{Y}_d = \mathbf{L}$$

$$\mathbf{D}_1 + \mathbf{D}_2 + \dots + \mathbf{D}_n = \mathbf{D} \quad (65)$$

$$\begin{aligned} R_1 * D_1 + R_2 * D_2 + \dots + R_n * D_n &= R \\ Y_{d1} * D_1 + Y_{d2} * D_2 + \dots + Y_{dn} * D_n &= Y_d \\ R &\leq B_d \\ R &= B_d \quad D_1, D_2, \dots, D_n : 0,1 \end{aligned}$$

სადაც, Y_d – ელ.დანადგარების ჯამური რეიტინგია; R (B_d) – პრევენციული რემონტებისათვის გამოყოფილი ჯამური ბიუჯეტის თანხაა; $D_i = 0$ an 1 (0 ელ.დანადგარი არ ექვემდებარება პრევენციულ რემონტს, 1 ელ.დანადგარი ექვემდებარება პრევენციულ რემონტს); D - პრევენციულ რემონტში გასული ელ.დანადგარების ჯამური რაოდენობაა; Y_{di} – i ელ.დანადგარის მიმდინარე რეიტინგია.

ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე შემუშავებულია ელექტროენერგეტიკული სისტემის ენერგობიექტზე არსებული ელექტროდანადგარების/მოწყობილობების მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ალგორითმი, რომელიც ასახულია ცხრილ №25-ში:

ცხრილი №25. ელექტროენერგეტიკული სისტემის ენერგობიექტზე არსებული ელ.დანადგარების/მოწყობილობების მიმდინარე ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ალგორითმი

1	დასაწყისი
2	შესაფასებელი I_1, I_2, \dots, I_n ელ.დანადგარების სიის ფორმირება
3	I_1, I_2, \dots, I_n ელ.დანადგარების შეფასებათა სისტემის ფორმირება (მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები)
4	ექსპერტული შეფასების საფუძველზე X_1, \dots, X_{12} მახასიათებლების Y_d რეიტინგზე გავლენის მატრიცის ფორმირება
5	Y_d რეიტინგის და X_1, X_2, \dots, X_{12} ფაქტორების არამკაფიო სიმრავლეზე დაყვანა
6	X_1, X_2, \dots, X_{12} ფაქტორების Y_d რეიტინგზე გავლენის მატრიცის ន რაოდენობის ჩამოყალიბებული წესების ფორმირება
7	ელ.დანადგარის კომპლექსური ტექნიკური მდგომარეობის შეფასების მოდელის ფორმირება
8	შესაფასებელი I_1, I_2, \dots, I_n ელექტროდანადგარისათვის ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და Y_{d1}, \dots, Y_{dn} შეფასებათა სიმრავლის ფორმირება
9	პრევენციული რემონტებისათვის გამოყოფილი B_d შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში Y_{d1}, \dots, Y_{dn} შეფასებათა სიმრავლეების საფუძველზე ოპტიმიზაციის მიზნის ფუნქციის (კრიტერიუმების) და შესაბამისი შეზღუდვების ფორმირება
10	შემუშავებული (4) ოპტიმიზაციის ფუნქციის საფუძველზე პრევენციულ რემონტში გასაყვანი ელ.დანადგარების სიის ფორმირება
11	დასასრული

ელექტროენერგეტიკულ სისტემაში თ დროის მონაკვეთში მაგენერიზებელი წყაროების რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის გადასაწყვეტად შემუშავებული მეთოდოლოგია ატარებს კომპლექსურ ხასიათს, მასში გათვალისწინებულია ოპტიმიზაციის შემდეგი კრიტერიუმები:

1. ოპერატიული რეზერვის მაქსიმუმი (მგვტ-ში) $R \rightarrow \max$;
2. ჰიდროელექტროსადგურების მიერ წყლის გამოყენების მაქსიმუმი (კუბურ მეტრში) $H \rightarrow \max$;
3. რემონტი გასაყვანი გენერაცორების ავარიული გამორთვების ალბათობის (კოვფიციენტის) მაქსიმუმი $O \rightarrow \max$.

ზემოაღნიშნული 3 კრიტერიუმის მიხედვით შემუშავდა გენერატორების პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის წლიური (კვირების მიხედვით) გრაფიკის წრფივი ოპტიმიზაციის ფუნქცია და ალგორითმი, რომელსაც აქვს შემდეგი სახე:

$$\text{მიზნის ფუნქცია} \quad X \rightarrow \max \quad (68)$$

შეზღუდვები

$X = R - H + O$

$$\begin{aligned}
& A_{11} + A_{21} + A_{31} + \dots + A_{521} = 1 \\
& A_{12} + A_{22} + A_{32} + \dots + A_{522} = 1 \\
& \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \\
& A_{1n} + A_{2n} + A_{3n} + \dots + A_{52n} = 1 \\
& G_{1dadg} * A_{11} + G_{2dadg} * A_{12} + \dots + G_{ndadg} * A_{1n} = P_{1remont} \\
& G_{1dadg} * A_{21} + G_{2dadg} * A_{22} + \dots + G_{ndadg} * A_{2n} = P_{2remont} \\
& \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \\
& G_{1dadg} * A_{52n} + G_{2dadg} * A_{52n} + \dots + G_{ndadg} * A_{52n} = P_{52remont} \\
& R_1 = G_d - D_1 - P_{1remont} \\
& R_2 = G_d - D_2 - P_{2remont} \\
& \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \\
& R_{52} = G_d - D_{52} - P_{52remont} \\
& R = R_1 + R_2 + \dots + R_{52} \\
& H_1 = h_{11} * A_{11} + h_{12} * A_{12} + \dots + h_{1n} * A_{1n} \\
& H_2 = h_{21} * A_{21} + h_{22} * A_{22} + \dots + h_{2n} * A_{2n} \\
& \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \\
& H_{52} = h_{521} * A_{521} + h_{522} * A_{522} + \dots + h_{52n} * A_{52n} \\
& H = H_1 + H_2 + \dots + H_{52} \\
& O_1 = o_{11} * A_{11} + o_{12} * A_{12} + \dots + o_{1n} * A_{1n} \\
& O_2 = o_{21} * A_{21} + o_{22} * A_{22} + \dots + o_{2n} * A_{2n} \\
& \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \cdots \\
& O_{52} = o_{521} * A_{521} + o_{522} * A_{522} + \dots + o_{52n} * A_{52n} \\
& O = O_1 + O_2 + \dots + O_{52} \\
& A_{11}, A_{12}, \dots, A_{1n} = \text{Oor1} \\
& A_{21}, A_{22}, \dots, A_{2n} = \text{Oor1} \\
& R_1, R_2, \dots, R_{52} \geq M_1, M_2, \dots, M_{52}
\end{aligned} \tag{69}$$

სადაც, $A_j - i$ კვირაა, j გენერატორის რემონტი გაყვანის მდგომარეობაა.

გენერატორის მდგომარეობის აღნიშვნა: 0 - აგრეგატი არ არის რემონტი, 1 აგრეგატი რემონტია;

$R_i - i$ კვირის აქტიური სიმძლავრის რეზერვის სიდიდე, მგვტ-ში;

M_i - ელექტროენერგეტიკული სისტემისთვის i კვირის აქტიური სიმძლავრის რეზერვის საჭირო რაოდენობაა;

$G_{idagm} - i$ გენერატორის დადგმული სიმძლავრეა, მგვტ-ში;

$D_i - i$ კვირის ელექტროენერგეტიკული სისტემის პიკური დატვირთვაა, მგვტ-ში;

$P_{iremont} - i$ კვირის რემონტი გასული გენერატორების ჯამური სიმძლავრეა, მგვტ-ში;

$h_{ij} - i$ კვირას j გენერატორის წყლის ჩამონადენია, კუბურ მეტრში;

$H_i - i$ კვირას რემონტი გასული ჰესების მკვებავი მდინარეების ჯამური წყლის ჩამონადენია, კუბურ მეტრში;

$o_{ij} - i$ კვირას j გენერატორის გამორთვის ალბათობაა;

$O_i - i$ კვირას რემონტი გაყვანილი გენერატორების აგარიული გამორთვების ჯამური ალბათობებია (კოეფიციენტებია);

G_d - ელექტროენერგეტიკული სისტემის დადგმული სიმძლავრეა, მგვტ-ში;

ჩატარებული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე შემუშავებულია ელექტროენერგეტიკული სისტემაში პრევენციულ რემონტი გასაყვანი გენერატორების ოპტიმალური წლიური (კვირების მიხედვით) გრაფიკის ფორმირების ალგორითმი, რომელიც ასახულია ცხრილ №26-ში:


ცხრილი №26. ელექტროენერგეტიკული სისტემაში პრევენციულ რემონტი გასაყვანი გენერატორების ოპტიმალური წლიური (კვირების მიხედვით)
გრაფიკის ფორმირების ალგორითმი

1	დასაწყისი
2	რემონტი გასაყვანი J_1, J_2, \dots, J_n გენერატორების სის ფორმირება
3	J_1, J_2, \dots, J_n გენერატორების და ელექტროენერგეტიკული სისტემის მონაცემების: G_{idagm} , o_{ij} , G_d , h_{ij} , D_i ფორმირება
4	ოპტიმიზაციის მიზნის ფუნქციის (კრიტერიუმების) და შესაბამისი

შეზღუდვების ფორმირება	
5	ოპტიმიზაციის ფუნქციის საფუძველზე J_1, J_2, \dots, J_n გენერატორების პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვის წლიური (კვირეების მიხედვით) გრაფიკის ფორმირება
6	ზემოაღნიშნული გრაფიკის საფუძველზე ელექტროენერგეტიკული სისტემის აქტიური სიმძლავრის ყოველკვირეული ოპერატიული რეზერვის ფორმირება
7	დასასრული

3.2 ექსპერიმენტული ნაწილი

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის პრაქტიკული აპრობაციის მიზნით განხილულია ერთ-ერთი ქვესადგურის მინაერთის უჯრედი, რომლის ცალხაზოვანი სქემა მოცემულია ნახაზი №19-ზე:



ნახაზი №19. ქვესადგურის ერთ-ერთი მინაერთის უჯრედის ცალხაზოვანი სქემა

ექსპერტული შეფასების საფუძველზე ნახაზი №19-ზე მოცემული ცალხაზოვანი სქემის ელემენტების მონაცემები შეტანილია დანართ №4-ში.

ცხრილ №25-ში მოცემული ალგორითმის გამოყენებით, დანართ №4-ის მონაცემების საფუძველზე მიღებულ შედეგებს აქვთ ცხრილ №27-ში მოცემული სახე:

ცხრილი №27 ელ.დანადგარების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (რეიტინგი)

ელემენტი	დასახელება	რეიტინგი
Q_0	სალტე	2.0
Q_2	გამთიშველი	1.9667
Q_3	შემომავალი სალტე	1.9791
Q_4	ამომრთველი	2.1389
Q_8	დენის ტრ-რი	2.1666
Q_9	გამთიშველი	2.1963

პრევენციული რემონტებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის თანხის მაქსიმალური 10000 ლარის პირობებში ოპტიმიზაციის ფუნქცია მიიღებს შემდეგ სახეს:

$$L - \max \quad (66)$$

შეზღუდვები:

$$D+R - Y_d = 0$$

$$1000* D_1 + 2000* D_2 + 1000* D_3 + 4000* D_4 + 1500* D_5 + 3000* D_6 = R \quad (67)$$

$$2* D_1 + 1.9667* D_2 + 1.9791* D_3 + 2.1389* D_4 + 2.1666* D_5 + 2.1963* D_6 = Y_d$$

$$R \leq 10000$$


$$D_1, D_2, D_3, D_4, \dots, D_n: 0, 1$$

ოპტიმიზაციის შედეგად მიღებულია $Y_d = 8,281$ შეფასების საერთო რეიტინგი და პრევენციული რემონტისთვის შერჩეული ელ.მოწყობილობების ჩამონათვალი მოცემულია ცხრილ №28-ში.

ცხრილი №28. პრევენციული რემონტისთვის შერჩეული ელ.დანადგარები

ელემენტი	დასახელება	პრევენციული რემონტის ჩატარება
Q_0	სალტე	არა
Q_2	გამთიშველი	კი
Q_3	შემომავალი სალტე	კი
Q_4	ამომრთველი	კი
Q_8	დენის ტრ-რი	არა
Q_9	გამთიშველი	კი

ცხრილ №26-ში წარმოდგენილი ალგორითმის და შემუშავებული მეთოდოლოგიის პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, პრევენციული რემონტების ოპტიმალური დაგეგმვა განხორციელებულია ერთ-ერთი ელექტროენერგეტიკული სისტემის მაგალითზე, რომელიც აერთიანებს 32 მაგაზინირებელ წყაროს (გენერატორს). განხილული ელექტროენერგეტიკული სისტემის პირობებია: პრევენციულ რემონტში უნდა გავიდეს ყველა გენერატორი თითოეული 1 კვირის ხანგრძლივობით. აქტიური სიმძლავრის ყოველკვირეული რეზერვის უნდა იყოს ნოლზე მეტი. ანგარიშისათვის საწყისი მონაცემები მოცემულია დანართ №5, №6-ში და ნახაზი. №20-ზე.



ნახაზი. №20. ჰიდროელექტროსადგურების საშუალო წყალმომარაგება (მკვებავი მდინარეების წყლის ჩამონადენი) კვირეების მიხედვით, $\text{მ}^3/\text{წ}$

(12), (13), (14) ოპტიმიზაციის ფუნქციასა და განტოლებათა სისტემაში საწყისი მონაცემების ჩასმის და შესაბამისად მისი ამოხსნით მივიღებთ ელექტროენერგეტიკულ სისტემაში მომუშავე გენერატორების რემონტების ოპტიმალურ გრაფიკს, რომლის შედეგებიც შეტანილია ცხრილ №29-ში.

ცხრილი №29. გენერატორების რემონტების ოპტიმალური გრაფიკი კვირეების მიხედვით

გენერატორი	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
კვირა	21	43	24	33	44	36	28	6	52	15	19	27	21	36	1	10
გენერატორი	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32
კვირა	45	14	28	3	24	34	47	38	5	17	16	26	24	28	1	1

III თავის დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგად, შემუშავებულია:

1. ელექტროენერგეტიკულ სისტემაში შემავალ
ენერგობიუქტებზე არსებული მოწყობილობა-დანადგარების ტექნიკურ-
ეკონომიკური მდგომარეობის კომპლექსური შეფასების მატემატიკური
მოდელი და მის საფუძველზე ჩამოყალიბებულია ამ პრობლემის
გადაწყვეტის მეთოდოლოგია და ალგორითმი.

2. პრევენციული რემონტებისთვის გამოყოფილი შეზღუდული
ბიუჯეტის პირობებში რემონტში გასაყვანი ელექტოდანადგარების
ოპტიმალური შერჩევის ოპტიმიზაციის ფუნქცია და ალგორითმი.

3. მაგენენირებელი წყაროების პრევენციული რემონტების
წლიური (კვირეების მიხედვით) გრაფიკის ოპტიმალური დაგეგმვის
ოპტიმიზაციის ფუნქცია და ალგორითმი.

ელექტროენერგეტიკულ სისტემაში პრევენციული რემონტების
ზემოთ ჩამოყალიბებული მეთოდოლოგია ატარებს უნივერსალურ
ხასიათს, მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერი
ენერგოკომპანიისთვის. აღნიშნული მეთოდიკის პრაქტიკაში დანერგვა
მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ელექტროსისტემის საიმედო
ფუნქციონირებას, მომხარებელთა ელექტროენერგიით უწყვეტ
ელექტრომომარაგებას და გააუმჯობესებს ორგანიზაციის ეკონომიკურ
მაჩვენებლებს.

თავი IV. ელექტროენერგეტიკული სისტემის მუშაობის რეჟიმების ოპტიმალური დაგეგმვა

4.1 ამოცანის დასმა და პრობლემის გადაწყვეტის მეთოდოლოგია

ელექტროენერგეტიკული სისტემის გართულების და სიმძლავრის მუდმივი ზრდის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისტემის ნორმალური რეჟიმების ოპტიმალური მართვის საკითხის გადაწყვეტას. ოპტიმიზაციის ღონისძიებების გატარება არ მოითხოვს დიდ კაპიტალურ ხარჯებს, მაგრამ მათი გამოყენებით წარმოიქნება ის რეზერვი, რომელიც საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად ამაღლდეს ელ. ენერგიის წარმოების, გადაცემისა და განაწილების ეკონომიკური, ტექნიკური და სხვ. ეფექტიანობა.

ლიტერატურული მიმოხილვის ანალიზიდან გამომდინარე განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ელექტროენერგეტიკული სისტემების მუშაობის რეჟიმების ოპტიმიზაციის პრობლემის ისეთი სახით გადაწყვეტა, რომ მასში მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს ყველა ის შესაძლო ფაქტორი, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს სისტემის მუშაობის ეფექტიანობას. ფუნქციონირების საიმედოობასთან ერთად მიღწეული უნდა იყოს სისტემაში შემავალი ყველა სუბიექტის ინტერესების დაცვა.

ელექტროენერგეტიკული სისტემების ფუნქციონირების რეჟიმების ოპტიმალური დაგეგმვის მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერების ამ საკითხისადმი მიძღვნილი კვლევების [1,2,3,4,5] შედეგების შესწავლის და ლიტერატურული მიმოხილვის ანალიზის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ დასმული პრობლემის სრულყოფილად გადაჭრა შესაძლებელია კვლევისადმი სისტემური მიღვომით და ოპტიმიზაციის ისეთი კრიტერიუმის შერჩევით, რომელსაც ექნება კომპლექსური ხასიათი და მოიცავს ოპტიმიზაციაზე მოქმედ ყველა შესაძლო ფაქტორს.

სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით არის შერჩეული ელექტროენერგეტიკული სისტემის ფუნქციონირების რეჟიმების ქვემო ჩამოთვლილი კრიტერიუმები:

საწყის ეტაპზე აქტიური სიმძლავრის ოპტიმალური განაწილებისთვის შემუშავებულია ოპტიმიზაციის ფუნქცია შემდეგი კრიტერიუმებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით:

- მარეგულირებელი პიდროელექტროსადგურების გამომუშავება – $E_{hpp\,(reg)}$ მაქსიმუმი;
- მარეგულირებელი პიდროელექტროსადგურების დატვირთვის გრაფიკში მონაწილეობა – G_{hpp} მაქსიმუმი;
- მარეგულირებელი პიდროელექტროსადგურებიდან იძულებით გაშვებული წყლის მოცულობა – W მინიმუმი;
- მარეგულირებელ ელექტროსადგურების წყლის ხარჯი - $Q_{hpp\,(reg)}$ მინიმუმი;
- სეზონური პიდროელექტროსადგურების გამომუშავება – $E_{hpp\,(sez)}$ მაქსიმუმი;
- სეზონური პიდროელექტროსადგურების გამოუყენებელი წყლის მოცულობა – Z მინიმუმი;
- ობოედექტროსადგურების სათბობის ხარჯი - B მინიმუმი;
- ობოედექტროსადგურების CO_2 ემისია - C მინიმუმი;
- ელექტროენერგიის წარმოების შეფერხებების რისკის დონე – S მინიმუმი;
- ელექტროენერგიის წარმოების საშუალო შეწონილი ტარიფი – T_{sas} მინიმუმი.

ელექტროსადგურებს აქტიური სიმძლავრის ოპტიმალური განაწილების ოპტიმიზაციის ფუნქციის შესადგენად საწყის ეტაპზე განხორციელებულია ელექტროსადგურების (აგრეგატების) ენერგეტიკული მახასიათებლების აგება [1,2,5].

ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემისა და განაწილების პროცესში ენერგოსისტემის თითოეული ელემენტის, დანადგარმოწყობილობების მუშაობის ეფექტურობა დამოკიდებულია მთელ რიგ ტექნიკურ-ეკონომიკურ მახასიათებლებზე, რომელთა შორის

მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ელექტროსადგურების (აგრეგატების) ენერგეტიკულ მახასიათებლებს [1,2,5].

ელექტროენერგეტიკული რეჟიმების ოპტიმიზაციის ამოცანების გადასაწყვეტად განტოლებათა სისტემაში ელექტროსადგურის სახარჯო და თბოელექტროსადგურების მავნე ნივთიერებების გამონაბოლქვის ემისიის მახასიათებლების გათვალისწინების მიზნით გამოყენებულია მახასიათებლების გენერატორის დატვირთვაზე დამოკიდებულების აღმწერი მეორე რიგის პოლინომის ფუნქცია [1,2,5]:

$$Q = a + bP + cP^2 \quad (70) \quad \text{წყლის ხარჯის ენერგეტიკული მახასიათებელი}$$


$$B = a + bP + cP^2 \quad (71) \quad \text{სათბობის ხარჯის ენერგეტიკული მახასიათებელი}$$

სადაც, a – სათბობის ხარჯია a , b , c – სათბობის და წყლის ხარჯის მახასიათებლების კოეფიციენტებია; P – თბოელექტროსადგურის და ჰიდროელექტროსადგურის გენერატორების ელექტროენერგიის მიმდინარე გამომუშავებაა;

სახარჯო მახასიათებლების აგების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს როგორც ქარხნული მონაცემები, ასევე ნატურალური გაზომვების შედეგები. ქარხნული მონაცემები ექსპლუატაციის პირობებში იცვლება და, ამიტომ, საჭიროა პერიოდულად ჩატარდეს ნატურალური გაზომვები. ნატურალური გაზომვები საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ საქარხნო მონაცემების დროში ცვლილების დინამიკა და, აქედან გამომდინარე, ასეთი გაზომვების შედეგები უფრო მიახლოებულია რეალობასთან.

ზემოაღნიშნული სათბობის ხარჯის ენერგეტიკული მახასიათებელი აღწერს მხოლოდ მცირე სიმძლავრის ერთსარქველიანი ორთქლტურბინიანი ტურბინების სახარჯო მახასიათებლებს. პრაქტიკაში თბოელექტროსადგურის ექსპლუატაციის დროს სათბობის ხარჯი გაცილებით მეტია ვიდრე სათბობის ხარჯის პვადრატული მახასიათებელის შემთხვევაში, რაც განპირობებულია სარქველების რაოდენობითა და მათი მახასიათებლებით, რასაც “სარქველის დატვირთვის ეფექტს” უწოდებენ [78,79,80]. დიდი სიმძლავრის ორთქლტურბინიანი თბოელექტროსადგურები ექსპლუატაციის

პროცესში დატვირთვის გაზრდის დროს თანმიმდევრობით ხორციელდება სარქველების გადება/დაკეტვა. თითოეული სარქველის გადების დროს ხდება სათბობის ხარჯის დიდი ზრდა, რაც გამოწვეულია დანაკარგებით. აღნიშნული თანდათანობით იკლებს სარქველის გადებასთან ერთად. აღნიშნულის გათვალისწინებით სათბობის სახარჯო მახასიათებელი მიიღებს ნახაზი. №21-ზე მოცემულ სახეს:



ნახაზი №21. სათბობის სახარჯო მახასიათებელი სარქველის ეფექტის გათვალისწინებით და გათვალისწინების გარეშე (5 სარქველის შემთხვევაში)

ოპტიმიზაციის ფუნქციაში “სარქველის დატვირთვის ეფექტი”-ს გასათვალისწინებლად მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებულია სინუსოიდალური ფუნქცია [78,79,80].

საბოლოო მახასიათებელს აქვს შემდეგი სახე:

$$B = a + bP + cP^2 + |e * \sin(f(P_{\min} - P))| \quad (71)$$

სადაც, B – სათბობის ხარჯია a , b , c – სათბობის ხარჯის მახასიათებლის კოეფიციენტებია; e და f სარქველის მდგომარეობის ამსახველი წერტილების კოეფიციენტებია. P_{\min} – თბოელექტროსადგურის გენერატორის მიერ ელექტროენერგიის დასაშვები მინიმალური გამომუშავებაა; P – თბოელექტროსადგურის გენერატორის ელექტროენერგიის მიმდინარე გამომუშავებაა;

დიდი გლობალური პრობლემა, რომელიც უკავშირდება ენერგოეფექტურობას, არის გარემოს დაცვა ანუ ენერგეტიკის გარემოზე ნებატიური ზემოქმედების შემცირება. ენერგეტიკის განვითარება

